



ილორი


E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru



№406 (465) 23 მაისი-6 ივნისი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააჟი შენიძა

გელა ჯილაური:
ღია ნერილი საქართველოს
პრემიერ-მინისტრს
ბატონ გიორგი
კვიციანიშვილს **88.2**

ოპარ გოსაძე:
ქართული განძი და, მისი
დაბრუნების ახლად აღმოჩენილი
აქამდე უცნობი ზოგიერთი
ღებალები **88.5**



**ილია
ვეკუას
მიმართვა
ახალგაზრდებს...** **88.8**

ჭ. ჰაბეაშვილი:
ახალი ქალაქი
თბილისის
ზღვაზე? **88.9**



**ლავრენტი
ბერიძე –
საბჭოთა
კავშირის
ცილდანამებული
გმირი** **88.4**

ჰაბეაშვილი:
არის თუ არა
საქართველოს
სუვერენიტეტი
სრულყოფილი? **88.3**

გენია თხილაძე:
განვიხილავთ
კონსტიტუციის პროექტს,
დრო კი არ ითმენს! **88.7**

ოპარ გოსაძე: **88.6**
ქალაქის გამწვანების
ვაიდამცველები და მერიის
წინააღმდეგ აგორებული
შავი პიარი



გიორგი სიჭინავა – 75
ჩვენი მეგობარი, მწერალი და საზოგადო მოღ-
ვაწე, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ სამეც-
ნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ
„აიას“ უცვლელი რედაქტორი გიორგი სიჭინავა
75 წლის გახდა!
გულოცაგო! **88.8**

როსა საქართველოში **88.10**
ჩავედი, ხალხმა იცოდა
ცეკვა-სიმღერა და
საღვთობალოების თქმა,
მეტი არაფერი – მიხეილ
სააკაშვილი ქართველებზე

ლია ნარილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბაზონ ბიორკი კვირიკაშვილს

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ვიტყვი, რომ ხელისუფალი და მათი თავიანთი, ყველანაირად გაუმართლებლად ხართ განუმეებლები და პირში წყაღანაგებებლები, მთელს საქართველოში, გამორჩეულად კი აჭარაში, მენეთების გამაღებელი მშენებლობის ფონზე; როგორც ამბობენ, ვინმე ფოტოგრაფი გაუღებდა და ფინანსური და შემაშფოთებლად მომრავლებული თურქულენოვანი ბაგაბაღების, სკოლებისა და უნივერსიტეტის შემხედვარენი. ამბობენ, რუსეთში, აზერბაიჯანში, ცენტრალური აზიისა და სხვა ქვეყნებში, ისინი ყველგან დაუხურიათ, საქართველოს გარდა.

რატომ?... სხვა რამეებზე ამჯერად არაფერს ვიტყვი, ისედაც ყველაფერი, ალბათ, კარგად იცით. და მაინც დეკლარაციები ნამდვილად ვერ გაგამართლებთ – დუმილი, ყოველთვის ოქრო სრულიად არ არის. მითუმეტეს, ამგვარ უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფოებრივ, უკიდურესად გამწვავებულ ვითარებასთან და პრობლემა-საკითხებთან მიმართებაში.

...იყო დრო, საქართველოს მოწინავე ინდუსტრიულურ ქვეყნად მოიხსენიებდნენ. მაშინდელს კარგად ეხსენებოდა რადიოთი მოსმენილი სიმღერის ტექსტი: **“ქუთაისი ქალაქია, ინდუსტრიის მშენებელი...”**. არ შეუვლავებთ იმ დროს ჩვენს ქარხნებში, ფაბრიკებსა და საწარმოებში დამზადებულ ნაწარმ-ნაკეთობის ჩამოთვლას. ადამიანები მუშაობდნენ; შრომას თავარიდებულესა და ზარმაც-უსაქმურებს იძულებით ასაქმებდნენ...

დღეს საქართველოში უმუშევრობა მძვინვარებს. შევარდნაძისა და სააკაშვილის მოძალადე-უკანონო მთავრობებმა, კაპიტალიზმზე და საბაზრო ეკონომიკაზე **“გადასვლა”**, ქალაქებში და სოფლებში არსებული საწარმოებისა და მეურნეობების დახურვად, დანგრევა-დაქვევად და მათი მოწყობილობა-დაზიანება-დანადგარების, სოფლის მეურნეობის ტექნიკა-მოწყობილობების გაყიდვა-განიავებად, იმ ფულის მიტაცებად და ჩაჯიბვად გაიგეს. ამას კი, იმავე წუთს მოჰყვა იქ მომუშავეთა დათხოვნა და უმუშევრობის შეუჩერებლად ზრდა. სოფლებში მოსახლეთა უმრავლესობა დედაქალაქსა და სხვა ქალაქებს მიაწვდა; უფრო რისიკანებმა და ფხიანებმა კი უცხოეთს მიაშურეს თავის გადასარჩენის მოსაპოვებლად. ასე გულისშემძვრელად დაცარიელდნენ გამოღამებული საცხოვრებლებით გავესებული სოფლები. მომეტებულად, ქვეყნის სახლდერისპირა მთის სოფლები გაუკაცრიელდნენ და იქაურობას პატრონ-დამცველი თითქმის აღარაინ დარჩა – სახლდერების უმტკივნეულოდ დარღვევა-გადმოწვევის უდიდესი საფრთხე-საშიშროება შეიქნა.

თუმცა, მარტო მთაზე იმდენი რა ვთქვათ, რაც რომ უარესი ბარში ხდება. საბჭოეთის დროიდან, თურქეთთან დადგენილი საზღვრის გარდა, სხვა ყველა მხრიდან სახლდერებ შემოღობულ-დაუდგენელი ქვეყანა გვაქვს. ჰოდა, ამიტომაც არის, **“შეზობლებიდან”** ვინაც როდის მოუნდება და გაახსენდება, იმ დროს გადმოაღაჯებს და ჩვენი წინაპრების სისხლით გაჯერებულ იმდენ მიწას მიიზომ-მიიტაცებს, რამდენიც მოეპოვებინება!

“შეზობლებისა თუ ძმების” თავდასულობას, თარეშ-მიტაცებასა და მადას, ზღვარი არ უძევს. შორს აღარ არის და მთლიანად გადაგვქველავენ, ღონიერად გადაგვივლიან და ხელიდან გაგვაცლიან სამოთხისდარ სამშობლოს!

ბატონო პრემიერო! სინანულ-უიმედობა-მორეულები ვხედავთ, რომ ამ უდიდეს საწუხარ-სატკივარის მოსაგვარებლად და საშველად, დღემდე სასიკეთო ნაბიჯი არ გადადგოთ თქვენ და თქვენმა მთავრობამ, დიდად გასაკვირია და დაუჯერებელი, რომ ასეთი უმწვავესი და ძნელად თავდასადგმელ-გადასაწვევტი საქმის მოუგვარებლობა რატომ და როგორ არ გირღვევთ სიმშვიდეს და მოსვენებას? რატომ დიდ საფიქრალსა და საწუხარს არ გიჩენთ ის, რომ დღეთსმშობლის წილხვედრ ჩვენს მოღიავებულ-შემოუსაზღვრელ ხელისგულისოდენა ტერი-

ტორიას. პირობითად რომ ჰქვია ქვეყანა და სახელმწიფო. არა გვეგონია, ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში, კიდევ სხვა რომელიმე ქვეყანა იყოს.

გვეგონა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მაინც გვეშველებოდა და საბოლოოდ მოვიგვარებდით საქმეს საშურსა და აუცილებელს. თუმცა, ნატოს თავიანთი მრავალგზისი მტკიცებით, კარი დიდი ხანია **“ღია ყოფილა”** და თუ ასეა, მაშინ რა ჯადო გვაბრკოლებს და ვერა და ვერ გადავაბიჯოთ სანატრელ-საოცნებო ზღურბლს?..

სინამდვილეში კი პირიქით ხდება – სწორედ ის თავიანთი და ნატოს წვერი რამდენიმე ქვეყანა უარს ამბობენ საქართველოს იქ შესვლაზე. სამაგიეროდ, მხურვალე ტაშს გვიკრავენ ჩვენი ჯარისკაცების სულ უფრო მზარდი რაოდენობით ავღანეთში უპირობოდ გასაზღვრად. და, ჩვენი მთავრობაც, დიდსულოვნად ასრულებთ მეტად საშიშ დაფალებას – ქართველ ბიჭებს დაუნანებლად აგზავნიან ავღანეთის სასაკლავოზე...

ბედის ირონიაა, აბა მაშ რა არის, რომ ჩვენი ხელისგულისოდენა სამშობლოს ავღანეთში კონტიგენტის რაოდენობა, თურმე, მხოლოდ უზარმაზარი ზესახელმწიფოს, ამერიკის სამხედრო კონტიგენტს ჩამორჩებოდა?!

აღმოჩნდა, რომ ავღანეთში, “საერთაშორისო კოალიციას”, ერთი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე ერთ მილიონ დოლარად შეუფასებია, ერთი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე კი სულ რაღაც ცხრა ათასი დოლარი ღირებულა?!

აი, თურმე რატომ გვიკრავენ ტაშს ნატოელები და რატომ აქებენ ქართველი ჯარისკაცების ვაჟკაცობასა და გმირობას. სამაგიეროდ, ალიანსის კარს ცხვირწინ გვიჯახუნებენ და გულდაგულ გვირახვენ. ამიტომაც, ყველა გულანთებულ მაიკლიშვილთან ერთად მინდა შეგვეითხოთ: თქვენი პრემიერობის ვადით ყოფნის დროს, საერთოდ თუ გაქვთ განზრახული გადიავებული სულ უფრო ტერიტორიანაკლები საქართველოს სასახლდერო-სადემარკაციო ხაზების დადგენა და მათი მიხედვით, ქვეყნის ხელუხლებელ სახლდერებში მოქცევა?

ჰოდა, რაკი სახლდერები არ გავაჩნია და უმუშევრად დარჩენილებს თავის სარჩენი თითქმის აღარაფერი დაგვრჩა, ადამიანებმა გამოსავალი უცხოეთში გადახვეწაზე ნახეს. ჩვენდა სავალალოდ, ბევრი იქ დაოჯახდა, სხვებს, მიძიმედ დასნეულებულთ, დაბრუნების ძალა-უნარი წაერთვათ და თავისდაუნებურად გაუნელდათ და გაუძნელდათ სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობის მოვალეობა. ამიტომაც იძალა ქართველების კლება-შემცირების თავზარდამცემმა საშიშროებაში.

ბატონო პრემიერო! კატასტროფული უმუშევრობის შევლა-მოგვარებაზე რომ გკითხოთ, ვიცე, მრავალგზის მოსმენილს მომაგებთ პასუხად, რომ ხალხის დასაქმება კერძო სექტორისა და ინვესტორების უშუალო საქმე-მოვალეობაა. ინვესტორები კი არ ჩანან. ეტყობა, თავს იკავებენ საქმის წამოწყებისაგან, ჩვენთან შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო – მარტო ბანკებმა განა რამდენი ადამიანი უნდა დაასაქმონ?

გამახსენდა! მაღლობა უფაღს, მშენებლებმა მაინც რომ იყოხადეს და დღეს, მთელ საქართველოში მშენებლობის ბუმი, ადამიანების გარკვეული ნაწილი დასაქმებულია და ოჯახების რაღაცნაირად გადარჩენა-არსებობას ასრულებენ. თუმცა, დმერთის წყალობას ბევრი წუნი ახლავს და, რაც მთავარია, იქ დასაქმებულებს, ყოველწუთიერი მარცხი და საფრთხე ემუქრებათ, უსაფრთხოების არანაირი ზომა-წესების არარსებობის გამო. ამას კი, ჩვენდა სამწუხაროდ, სამუშაონაშოვნი ადამიანები ეწირებიან.

აღარაფერს ვამბობ შენობა-ნაგებობების ერთმანეთზე მიჯრითა და გადაბმულად შენებაზე, დაბალ ხარისხზე, სეისმომდებლების წესების დაუცველობაზე. დასანანია და საგანგაშო, რომ ყველაფერამაზე არავინ, უპირველესად კი მთავრობა არაფერს ფიქრობს და თითხაც

არ ანძრევს გაუმართლებელი გულგრილობით მიგდებული უმნიშვნელოვანესი საქმის სასწრაფოდ გამოსასწორებლად, თანამედროვე მოთხოვნა-სტანდარტების დასამკვიდრებლად. და, საერთოდ, მთავრობა, საიმედოს არაფერს გვთავაზობს. ჯერ კიდევ როდის შეპირებული ასე საწარმოს ამოქმედება ზღაპარი გამოდგა. იქნებ, ათოდე მაინც დაგვისახელოთ, მათში **“დასაქმებულის”** რაოდენობასთან ერთად?..

მართლაც უმწვავეს მდგომარეობაში ვართ ჩაცვენილები. ბევრი ადამიანი შიმშილობს და სნეულდება... და, ამას თან სდევს უსწრაფესი ჯაჭვიური რეაქცია – შემადრწუნებელი დემოგრაფიული ვითარება. ქართველები სულ სამილიონნახევარი და ვერცხვით! სულ მალე, ჩვენს სამშობლოში, უმცირესობაში აღმოჩნდებით და მივიღებთ დემოგრაფიულ კოლაფსს, უცხოტომელებისგან უსწრაფესი შემოტყვლებისა და გამოაოგნებლად გამარავლების გამო!!!

აკი, გაერომაც, საქართველო, ათ-ხუთ ათწლეულში გასაქრობად განწირული ქვეყნების ჩამონათვალში ჩავგვქვრად!

რა ვქნა და ისევ თქვენ უნდა შეგეკითხოთ უმუშევრობაზე: ქვეყნის მთავრობა რა გაქვთ განზრახული, ამ უდიდესი საწუხარიდან თავის დასაღწევად და რამენაირად ფონს გასასვლელად?

და კიდევ გავგახსენდა! კვლავ მაღლობა უფაღს, რომ სამთხის დარი ქვეყანა და წალკოტი ჰავა-ბუნება რომ გვიბობა. ამას ჩვენი კაცთმოყვარეობა და სტუმარ-მასპინძლობის სასწაული ადამ-წესებიც ზედ დადებოდა და ამის აღსაქმელად ჩამოსული უცხოელები, გაოგნებულ-აღფრთოვანებულები, კვლავ დაბრუნების სურვილით მიემზავრებიან.

დიდად მოსაწონია და მისასალმებელი ტურიზმის ასეთნაირად ზრდა და წინსვლა-განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; მომსახურების დახვეწა, სასტუმროების აშენება-მომრავლება; მეტი სტუმრის ჩამოსვლა, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გაცნობა; მათგან დატოვებული ფულის ბიუჯეტს მიმატება... მაგრამ, მხოლოდ ტურიზმის წინსვლის იმედად ყოფნა გაუმართლებელია; ქართველები მთლად მათს მომსახურე პერსონალად ხომ არ უნდა გადავიქცეთ? ანა, რითი უნდა დავაპუროთ და დავაკმაყოფილოთ, სულ უფრო მზარდი ოდენობის სტუმრები?

ჩვენს მცირემიწიან სამშობლოში მოწვეული ჭირნახული ძალზედ მცირეა და მათს დასაკმაყოფილებლად, ვერანაირად სამყოფი. ამიტომაც, იძულებული ვხდებით, თურქეთში ცეცხლის ფასად შექმნილი უხარისხო ხილ-ბოსტნეულით და ხორციით მომზადებულ კერძებით გავუმაჰინძვლოთ სტუმრებს და თავი არ შევირცხვინოთ. რაც მთავარია, ჩამოსულებისგან დატოვებული ფულის გარკვეული ნაწილი ხომ თურქებს უნდა გადავუხადოთ **“ხელის გამართვისათვის”**?

ჰოდა, ცნობილი კინოფილმში დარდი-მანდულად ნათქვამისა არ იყოს, მაშინ ჩვენ რაღა უნდა დაგვრჩეს? – ვირის თავფეხი?

ეგრე გამოდის. ჩვენდა დასაღონებლად, ქართველებს ნამდვილად არ გავაჩნია იმდენი მიწის საგარეულები, რომ მათზე მოწვეული ჩვენს ვიშყოფინოთ და უწვეულად მომრავლებულ სტუმრთა ჩამომსვლელბეზღ მვიჯრთათ. და, რაც გვაქვს, ჩვენი დაუდევრობითა და გულარხინობით, ჩვენს უბეში გამოზრდილ-ჩაბუღებული უცხოტომელების მტრული განზრახვითა და ქმედებით, ჩალის ფასად არის გაყიდული და გაფეშქაშებულ-გაწუქებული!..

ისტორიულად, ნაყოფიერ მიწებს დანატრებულ თუშებს, ხევსურებს, სვანებს, მოხვევებს, მთიულებს, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის, სამხრეთ საქართველოს, გურიისა და აჭარის მაღალმთიანეთის მოსახლეობას მტრულად ზურგშეკეცულმა ნაციონალების გადამთიელმა ბელადმა, ზღვარდაუდებელი ხელგაშლილობით გაყიდა და განიავა ქართული ნაყოფიერი მიწები!!!

“ქართულმა ოცნებამ” სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვაზე გამოაცხადა მორატორიუმი. ეს აკრძალვა

კი საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ გააყალბა და მიიღო განსაზღვრება, რომ ყოველგვარი შეზღუდვა უცხოელების საკუთრებაზე საქართველოს მიწის მიმართ არის უკანონო.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მოქმედება არის შეგნებული დანაშაული ქვეყნისა და ერის წინაშე!

მნიშვნელოვანია ის, რომ თურმე, თქვენთან შეთანხმებით, წინა მოწვევის პარლამენტში იუსტიციის სამინისტროსაგან გაგზავნილი ყოფილა შესაბამისი კანონპროექტი.

მჯერა, თვალს მიადევნებთ, რომ ახალი მოწვევის პარლამენტმა დროულად დაიწყო დღის წესრიგში ჩასმული ამ კანონპროექტის განხილვა.

ბატონო პრემიერო!

საქართველოდან გაპარვამდე, თურქეთში ჩასულმა სააკაშვილმა ექვს ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოურიგა და აჩუქა?!

არ არის გამორიცხული, ხვალ-ზეგ კარზე მოგვადგნენ **“წვენებურები”** და სამოსახლოდ საჭირო მიწების დარიგება მოითხოვონ... რას უპასუხებთ, საქართველოს კანონიერსა და სრულფასოვან მოქალაქებს?

ნუ იფიქრებთ, რომ უარპასუხიძეულები განუძნენ და უკან დაიხიონ. კანონმომარჯვებულები მთელი ხმით აყვირდებიან და სამყაროს შეძრავენ **“დაჩაგრულ-დასჯილები”**. და ფულზე სულ-გაყიდული ევრო-ამერიკელი **“სამართლადამცველებიც”** უმალ მხარს დაუჭერენ **“უფლებამუსულაზულებს”**, მათთვის კანონით რეგული მიწების ჩამორიგებას მოითხოვენ და კარგა გვარიანი ჯარიმა-კომპენსაციების გადახდასაც აპეტიდებენ.

აი, როგორი ყოველწუთის ასაფთოქებელი ნაღმი ჩაგვიდო და მეტად სავალალო, თავის ძნელად დასაღწევ მდგომარეობაში ჩაგვყენა ქართველებისგან წაგლეჯილი ფულების გემოგაგებული ამერიკელი და ევროპელი მფარველების ჯილა სააკაშვილმა.

ბატონო პრემიერო!

ნუ დაელოდებით ამ უკიდურესად უსიამოვნო დღისა თუ საათის დადგომას. რაც შეიძლება მალე ამოქმედეთ ესოდენ უმწვავეს საკითხში ჩახედულ-გარკვეული სპეციალისტები. საჭირო გამოსავლის მოძებნა ალბათ ძნელი იქნება. მაგრამ, ვითარების ერთობლივი, სწორი, უშეცდომოდ გათვლით და მოქმედებით, ურთულეს პრობლემას უსათუოდ ეშველება და გადაიჭრება. არადა, სულ მცირედი შეყოვნებითა და მოდუნებით, ვეღარანაირად გამოსასწორებელ შედეგს მოიპოვებთ.

ჩვენ კი, ასეთი მდგომარეობის შეწყვეტის, **“სულწასულები”** ველით ევროკავშირში შესვლას. პირდაპირ გეტყვით, რომ ხელმოკლე ქართველებს, სამისოდ არაფერი გვაბადია და ე.წ. **“ვიზალიბერალიზაციის”** სიკეთით კარგახანს ვერ ვისარგებლებთ. ფულიანები კი, მშვენიერად ვიცე, რომ იქ ხშირ-ხშირად დასეირნობენ როცა გაუხარდებოთ, საითაც გული გაუწევთ, რომელ კონტინენტზეც და რომელ ქვეყანაშიც.

არადა, მართლაც კარგია თვალისათვის წყლის დაღვინება და იქაურობის მოხილვით გულის გახარება, თუმცაღა ძალზედ ნაადრევი, უსაფუძვლო, გაუთავებელი ჟივილ-ხივილისა და ხმაურის ატეხის გარეშე.

დაიხ, რიგითს გადატაკებულ ქართველებს, უმუშევრებსა და პენსიონერებს სხვა ბევრი რამისთვის არა აქვთ ფული, ბევრ ელემენტარულ რამეზე ამბობენ უარს. და რაც ყველაზე საწუხარია, შერყეული ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზეც კი უწევთ თავის შეკავება; ოპერაციის გაკეთებაზე რომ არაფერი ვთქვათ, წამლებს ვერ ყიდულობენ. ტკივილ-დაჯანბნის და სნეული კაცი კი, ღირებულ-ხარისხიანსა და სრულყოფილ-მოსაწონს ვერაფერს შექმნის!

ბელა ჯიღაური,
(გაგრძელება იქნება)



არის თუ არა საქართველოს სუვერენიზმი სრულყოფილი?

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში გრანდიოზული დღესასწაული გაიმართ – 155 წლის წინათ, მექსიკელი ხალხის, საფრანგეთის ჯარზე გამარჯვების აღსანიშნავად. საბოლოო ჯამში საფრანგეთის არმიამ მოახერხა დედაქალაქი მეხიკოს აღება – გარკვეული პაუზის შემდეგ, მაგრამ მექსიკელები იმ პირველ ბრძოლაში გამარჯვებას ზეიმობენ – იმუამინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს არმიასზე.

ზეიმის ამსახველი ვიდეო-კადრები „ევერონიუსმა“, სხვა ცნობილმა ტელეკომპანიებმა გადასცეს. არც ერთ მათგანს არაფერი უთქვამს მექსიკაში, საფრანგეთის ელჩის, მექსიკის ხელისუფლებისადმი მოთხოვნაზე – „ნუ იზიემებთ, ვინაიდან გამარჯვებული მაინც საფრანგეთი იყო“. გარდა ამისა – ჩვენზე ნუგაბიურად მოქმედებს თმში დამარცხება.

საფრანგეთ-მექსიკის ისტორია უმაღლეს ხარისხზე თურქეთ-საქართველოს ძველ და ახალ ისტორიას, განსაკუთრებით ახალს, საქართველოში თურქეთის ელჩის აშკარა არადიპლომატიური განცხადებით, დიდგორის ზეიმთან დაკავშირებით. ელჩს არ მოეწონა ქართველთა „თავხედობა“ – რას მიქვია, თურქეთის დამარცხების სახეიმი აღნიშვნა!

„ჩვენმა ხელისუფლებამაც“, მორჩილ მონასხავით, თავიც დახარა და ხმაც ჩაიკმინდა, რაც უდავოდ მიგვანიშნებს საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხზე. როდესაც მეზობელი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენელი, ყოველგვარი დიპლომატიური ეთიკის გარეშე, ჯიქურ მოგაწვევა და ხელს ავალბებინებს მართლაც და დიდი ზეიმის აღნიშვნისგან, ეჭვქვეშ აყენებს არა მარტო ქვეყნის სუვერენიტეტს, ხელისუფლების ლეგიტიმურობას, არამედ ხალხის შემართებას, მის დამოუკიდებულებას უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი.

25-წლიანმა გაჭირვებამ, უმუშევრობამ, დაუსაქმებლობამ, სტრესულმა მდგომარეობამ, ხელისუფალთა აღვირახსნილობამ დააჩანჩაკა ხალხი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ დიდი ნემსით ტვინი გამოგვიღო და დავდივართ ასე ტვინგამოცლილი, ორი ინსტიქტური მოთხოვნის – ჭამისა და მოსაქმების დასაკმაყოფილებლად.

ზეიმით – „ჩვენი ხელისუფლება“ კითხვის ნიშნის ქვეშ მოვაქციე, სრულიად შეგნებულად, ვინაიდან ის სინამდვილეში არც „ჩვენი“ და მითუმეტეს არც „ხელისუფლება“, უფრო სწორად სახელმწიფო საღაფავს მისული მტაცებელი გადამითვლები არიან – საკუთარ კუჭსა და ბედნიერებაზე მომართულნი.

სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც გაიგებ, რომ საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის პირველი იანვრიდან, 30 აპრილის ჩათვლით, პრემია-დანამატის სახით 4 852 698 ლარი მიიღო. და ეს მაშინ, როდესაც უკვე რახანია მედიით განუწყვეტლივ ისმის საძრახისი სიტყვები ხელისუფალთა პრემია-დანამატებთან დაკავშირებით. უკვე რახანია, ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ეს მავნე ტრადიცია ისტორიას ჩაბარდაო. რა გამოდის – გვატყუებს?!

სწორედაც რომ ასეა საქმე. ხელისუფლება გვატყუებს – თავხედურად, როგორც მას სჩვევია. ხალხიც თავს იტყუებს, უფრო სწორად, იძულებულია მოიტყუოს, ვინაიდან თუ არ მოიტყუებს – სხვა ნაბიჯი უნდა გადადგას – დემონსტრაციის, ქუჩის აქციის სახით, თუნდაც ისეთი იქ, იმ ევროპაში რომ იმართება.

ხელისუფლება ხვდება, რომ ხალხი დანმორბულია, სიტყვის ამოღების თავი არ აქვს. ვინც ხმა უნდა ამოიღოს – ინტელიგენციამ, პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, მისივე კერპის ივანიშვილის წყალობით. ინტელიგენციისთვის დანიშნულმა „სტიპენდიებმა“ იცის სამარადისო ხმის ჩაგდება და სასაფლაოს

მსგავსი სიჩუმე. თითქოს ის, რაც აქ ხდება მას, „ინტელიგენციას“ არ ეხება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ჯერაც ძველი მენტალიტეტი არსებობს, ინტელიგენციის როლი ხალხის გამოდვიძება-დარაზმვაში უმნიშვნელოვანესია, თორემ იქ, სადაც საზოგადოებრივი აზრი და პასუხისმგებლობა არსებობს, ინტელიგენციის შეძახილი არვის სჭირდება. იმ უამრავ დემონსტრაციებში, რომლებიც სისტემატურად იმართება ევროპის ქვეყნებში, სხვაგან, წინამძღოლად, დამარჯვებლად ვერც მწერალს, მხატვარს, მსახიობს და ა.შ. ვერ იხილავთ. იქ ხალხია შემოქმედი, მობილური ტელეფონები, ინტერნეტი.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ საქართველოს ხელისუფალთა გაერთხილების მსგავსი რამ რომ თურქეთის ელჩს რომელიმე ევროპული სახელმწიფოს ხელისუფლების მიმართ გაეკეთებინა, რა მოჰყვებოდა ამას იმ ხელისუფლების ან ხალხის მხრიდან?! – სახელმწიფოს პროტესტი, ხალხის მიერ საპროტესტო მიტინგი საელჩოსთან, ელჩის გაწვევა.

გავისვენოთ აზერბაიჯანში აშშ-ს ელჩის, ბრაიზას ისტორია. როდესაც მან ყოველგვარ დიპლომატიურ ნორმებს გადააბოჯა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა კატეგორიულად მოსთხოვა აშშ-ს ადმინისტრაციას გაეწვიათ ბრაიზა. ეს, ის ბრაიზაა, რომელმაც „ნაცთა“ პარპაშის დროს ბევრი რამ აწერ საქართველოს.

არ არის საქართველოს ხელისუფლება ამის გამკეთებელი! არც თურქეთის ელჩის გაწვევას მოითხოვს და არც იმ აღვირახსნილობის აღკვეთისკენ მოუწოდებს საქართველოში აკრედიტებულ აშშ-ს, სხვა ქვეყნების ელჩებს, რასაც ისინი სწადიან საქართველოს მიმართ.

ხალხი? – ხალხი ყველაფერს ყლაპავს – იმასაც, რასაც ხელისუფალთა ხელფასები, ხელფასებზე დანამატები, პრემიები, პერსონალური ავტომანქანების მუდმივი განახლება, უზომო რაოდენობის ბენზინის ხარჯვა და სხვა საბაგლობები ჰქვია.

ხალხი არაფერს ამბობს პარლამენტის სპიკერის განცხადებაზე: „ქუთაისი საპარლამენტო ქალაქად რჩება. ქუთაისში საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა იგეგმება და ქუთაისი ბევრად მეტი იქნება, ვიდრე საპარლამენტო ქალაქი“.

რა გამოდის – პარლამენტი თბილისში არ დაბრუნდება? როგორც ჩანს, არა! უკეთეს შემთხვევაში იქაც და აქაც ვაგრძელებს „მუშაობა“ – ისეთი, როგორიც დღესაა. ვაგრძელებს აქეთ-იქით ხეტიალი და ამ საქმეში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვა. რა ენადღვებათ, ხელისუფლების ფული ხომ არ იხარჯება?

იხარჯება ხალხის ფული, ხალხისგან ამოღებული. იმ უამრავი საწვავის ხარჯებს ხომ ნებისმიერი ჩვენგანის ჯიბე ეწირება – ჩვენითვის ბენზინის ფასების მატებით და აქედან გამომდინარე კვების პროდუქტების, მედიკამენტების, პირველადი მოხმარების საგნების, მომსახურების ხარჯების გაზრდით.

სამწუხაროდ, საქართველოს არ ჰყოლია და ჰყავს „ჩვენი ხელისუფლება“. ის, სხვისი ხელისუფლებაა – მეზობელი თურქეთის, აზერბაიჯანის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, აშშ-ს, ყველას და არა საქართველოს. საქართველო მისთვის ის მეწველი ძროხაა, რომელმაც უნდა მოიწველოს, თანაც თივის დაყრის გარეშე.

უკუღმართი ცხოვრებით გონდაცლილი ხალხი იმასაც ვერ გრძნობს, რომ მისი მოთხოვნა, თანაც ისეთი, ქუთაისელები რომ აყენებენ, თავის დროებითი მოტყუებაა და არა ამ ქალაქის პრობლემების კარდინალური განხილვა-გადაწყვეტა. მათ, ვინც პარლამენტის ქუთაისში დატოვებას ითხოვს, არაფერი აქვთ საერთო სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან, თუნდაც იმასთან – საბიუჯეტო თანხების უაზრო განიავება რომ ჰქვია. ნუთუ მათთვის უცნობია თემა, რომელსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი

ხელისუფლების ერთმანეთისგან ხელშეწყობის დაშორება ჰქვია?

ნუთუ უცნობია ყველასთვის ცნობილი სინამდვილე, რომ აღმასრულებელ-საკანონმდებლო ხელისუფლებათა დაშორებით, ინგრევა ქვეყნის სტაბილურობა?! იქნებ აღმასრულებელი ხელისუფლებაც ქუთაისში გადაგვეტანა?! ერთხელ უკვე დავწერე და გავიმეორებ – ივანიშვილის იდეა ქუთაისის სტუდენტურ ქალაქად გარდაქმნის თაობაზე, არის ყოველგვარად საღ აზრს მოკლებული. 60 000 სტუდენტზე უნდა იყოს გათვლილი სტუდენტური ქალაქი.

დღევანდელ საქართველოში, საერთო ჯამში, 40 000 სტუდენტია, რომელთა თითქმის 100%, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაო ადგილს ვერ პოულობს და უცხოეთში გარბის. ქუთაისის სტუდენტთა ქალაქად გადაქცევის შემდეგ რა უნდა ქნას თბილისის უმაღლესი სასწავლებლებმა ან სად უნდა დასაქმდეს ყოველწლიურად 100 000 უმაღლესდამთავრებული?

ვინ უნდა ასწავლოს ქუთაისის „სტუდენტთა“ ქალაქში, როდესაც თბილისის უმაღლესი სასწავლებლებიც განიცდიან პროფესორ-მასწავლებლების დეფიციტს? უცხოელი სტუდენტები და ლექტორები შეავსებენ ქუთაისის „სტუდენტთა“ – ასე „გვაბოლებენ“ და ჩვენც ვართ დაბოლებულ-დარტყიანებულები იმიტომ, რომ იდეა ივანიშვილისაა, ივანიშვილი კი ღამის ხალხმა, განსაკუთრებით „ინტელიგენციამ“, წმინდანად შერაცხა – სააკაშვილის განდევნისთვის.

საკაშვილი განდევნა, მაგრამ სააკაშვილები ააყვავა ე.წ. ოპოზიციად აქცია. სააკაშვილის იდეები და განხორციელებული ავადმყოფური საქმეები – ხელუხლებლად დატოვა. მათ შორის პარლამენტის ქუთაისში გადატანა და სხვა მრავალი მანკიერება.

ივანიშვილის მიერ ხელისუფლებაში აღზევებული „ოცნება“, ზომა-წონის გაუთვალისწინებლად, სხვათა იმედით, რქებით აწვევა ყოველივე იმას, რასაც ქართულ-რუსული ურთიერთობა ჰქვია; მჭიდრო კავშირებს ამყარებს რუსეთის მტერ უკრაინის ხელისუფლებასთან, რითაც უდავოდ ანტისახელმწიფოებრივ თამაშს თამაშობს, ისეთს, რომელსაც მომავალი არ აქვს.

ხელისუფლებას ვერ გაუგია, რომ უკრაინის „ყავისფერი“, ბანდერული ხელისუფლება, სხვაა და ხალხი სხვა. ის, ვინც უკრაინის ბანდერულ ხელისუფლებას, ხელისუფლებად მიიჩნევს, ვერასდროს მოიგებს რიგითი უკრაინელის გულს.

საქართველოს ხელისუფალთ პკონიათ, რომ პოროშენკოს და მემარჯვენე სექტორის აღვირახსნილობა სამარადისოდ ვაგრძელებს. სცდებიან. ქვეყანა, რომელიც სააკაშვილის ხათრით, მუდამ ამცირებდა „საოცნებო“ ხელისუფლებას, მეგობრად არ უნდა გაიხადო. ამ მარტივ ჭეშმარიტებას დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. პოროშენკოს ხელისუფლებამ არავითხელ ჩააგდო საქართველო „უხერხულ“ მდგომარეობაში.

თურქეთის ელჩმა კი პირდაპირ მიგვითითა – რისი გაკეთების უფლება გვაქვს და რისი არა. აზერბაიჯანმა მტკიცე პოზიცია დააფიქსირა დავით გარეჯთან მიმართებაში, რითაც საკამათოდ ქცეული თემა ღამის დაპირისპირების საკითხად აქცია, მაგრამ საქართველოს „საოცნებო“ ხელისუფლება ხომ დოყვალაბია არ არის, რომ საკითხი სხვაგვარად არ მოაგვაროს, მაგალითად ისე, როგორც ამასწინათ თურქეთთან სასაზღვრო ზოლში, მდინარის მიერ კალაპოტის შეცვლის შედეგად 6 პექტარი მიწა რომ დაუთმო თურქეთს?!

ქვეყანა ყოველდღიურად, ე.წ. მცოცავი ანექსიის გზით, მტკაველ-მტკაველ მიწას კარგავს უკვე მეზობელ ქვეყლ „ქვეყანასთან“, აღნაია რომ ჰქვია, სოლო მძად შერაცხულ მეზობელ თურქეთს ფიანდახად ეგება ბათუმისა და აჭარის გასათურქებლად, თბილისზე და სხვა ქალაქებზე გაელენის გასაფართოებლად. ხელისუფლების ყმაწვილებს დიდ

წარმატებად მიანიათ ამერიკელ კონგრესმენტთა გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, მაგრამ როდესაც სხვას ვერ ახერხებ – ქალაქითაც შეიძლება თავის დამწვიდება.

ვერც აშშ-ი, ვერც ევროკავშირი და ვერც სხვა რომელიმე კავშირი, რუსეთს ფხვს ვერ მოაცვლენინებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. ვერც ანტირუსული ეკონომიკური სანქციების დაწესება უშველის ამ საქმეს. მას სხვა გზის გამოძებნა სჭირდება – ეს დიალოგია რუსეთთან, აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება თავს არიდებს, ქვეყნისთვის უდავოდ არასახარბიელო მოტივით, ოკეანისგადაღმელთა რჩევის შედეგად.

ამერიკა-რუსეთის პაექრობა კავკასიაში და რეგიონში – ახლო აღმოსავლეთი რომ ჰქვია, ახალ ფაზაში შედის და არვინ იცის, როდის და რით დამთავრდება. ორივეს, რეგიონის ქვეყნებიდან მხარდაჭერებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც თავის მხრივ მზად არიან ყველაფერი იღონონ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად. საქართველო მათთვის არც ისეთი ბუმბერაზი და უძლეველი ქვეყანაა, როგორც ჩვენ გვგონია. 2008 წლის მარცხს თვალს უნდა ახილა ჩვენთვის, თუმცა მსგავსს ადგილი არ ჰქონია. ჩვენ ისევ დასავლეთის მოიმედებლად დავრჩით და თავს ვირწმუნებთ, რომ რაღაც დოკუმენტებით, ვიდაცის, სადღაც, რომელიღაც ფორუმზე ნათქვამი სიტყვებით ქვა გასკდება და საქართველოს ხელისუფლების გასაკეთებელი საქმე გაკეთდება.

სრული პოლიტიკური სიბეცვა. ქართული პოლიტიკა უნდა მიხედვს, რომ დაპირისპირებით, კინკლავით, ავანტიურისტული გამოხდომებით, საერთაშორისო არენაზე რუსეთის ლანძღვით საქმეს არ ეშველება. პირიქით, გართულება მოჰყვება. ვერც ამერიკელი, ვერც ევროკავშირელი ვერ ჩაუღრმავდება იმ რელიგიურ, ეთნიკურ, ეროვნულ, ენობრივ პრობლემებს, რომლებიც კავკასიაშია.

ამერიკას, ისე, როგორც ეს შეეფერება დიდ სახელმწიფოს, პატარა ქვეყნებისთვის, ერთი პროგრამა აქვს შემუშავებული, რომელიც აფრიკელზეც ვრცელდება და კავკასიელზეც.

რუსეთმა, საუკუნეები მოანდომა ამ პრობლემების შესწავლას, რამაც მას დიდი უპირატესობა მიანიჭა, რეგიონიდან ათეულ-ათასობით კილომეტრზე დაშორებულ ამერიკაზე. ვინ იცის, თუ არა რუსეთმა, საქართველოში თითქმის მიძინებული, მაგრამ მაინც თავსატეხი თემა, აზერბაიჯან-სომხეთის მოსახლეობიდან გამომდინარე? ან თუნდაც თურქულ-ქართულ ურთიერთობების თაობაზე – აჭარის საკითხს რომ ეხება? აღარაფერს ვამბობ ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ პრობლემებზე.

რუსეთი ის ძალაა, რომელსაც შუამავლობაც შეუძლია, დაყვავებაც და კბილების გამოჩენაც, გაანია ჩვენ როგორ მოვექცევით მას.

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემის აზრით, ეს ის ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია „რბილი ძალით“, წინ აღუდგეს თურქეთის გაველენის ყოველდღიურ გაფართოებას აჭარასა და სხვა რეგიონებში, ვინაიდან თურქმა იცის, რომ „რბილი ძალის“ უკან, „მაგარი ძალა“ დგას. გარდა ამისა, მიუხედავად 25-წლიანი არასახარბიელო პაუზისა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, რუსეთი მაინც პოზიტიურად არის განწყობილი საქართველოს მიმართ, რაც უდავოდ საყურადღებო რამ უნდა იყოს ქართული პოლიტიკისთვის.

ჰამლეტ ჰიპაზილი,
პოლიტოლოგი

ლავრენტი ბერია – საბჭოთა პარტიის ცილდაჭამებული ბერი



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

1938 წლის ივლისში ორლოვმა მიიღო ანტევერპენში გამგზავრების ბრძანება, რათა შეხვედროდა წარმომადგენლებს.

მაგრამ გაიტაცა რა 60.000 დოლარი (იმდროინდელი კურსით დაახლოებით ერთი მილიონი დოლარი – რ.ჯ.) შინსახკომის ოპერატიული სახსრებიდან, ორლოვი ცოლთან და ქალიშვილთან ერთად გაიქცა კანადაში, იქიდან კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მასთან თანამშრომლობდა დახვედრის ფედერალური ბიურო. რაც მართალია, მართალია – ორლოვს “კემბრიჯის ხუთეული” არ გაუცია.

სტალინის სიკვდილამდე არც თუ დიდი ხნით ადრე უწინააღმდეგარა “ლაიფმა” გამოაქვეყნა სტატიების სერია, რომელიც შექმნილი იქნა საფუძვლად წიგნისა “სტალინური დანაშაულის საიდუმლო ისტორია”. თითქოს, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ არსებობს ერთი წერილიანი.

დიდი ხნის გასვლის შემდეგ, სამსახურებრივი გარდაუვალობის გამო სსრკ უშიშროების კომიტეტის თანამშრომელთან შეხვედრისას ორლოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა პრესით გაეცნო სიტუაციას, კერძოდ იმას, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო მართვის სადავებები გადავიდა მის თანამებრძოლებთან, არც თუ სუფთა სინდისის მქონე ადამიანებთან. მათ მხარს უჭერდნენ პარტკაპარატელთა ის თაობა, რომლებიც მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ იმ ხალხის მიერ ადრე ჩადენილ დანაშაულებში, რომელთაც უდავლად რეჟიმს უცია.

როგორც იტყვიან, პირდაპირ ცენტრში მორატყა!

აი, მხოლოდ ისაა საკითხავი, თუ სად დაინახა მხვერავმა “სტალინის თანამებრძოლები”, რომლებიც ქვეყანას მართავდნენ ბელადის გარდაცვალების შემდეგ? თუ “ერთგულ ლენინელთა” მსოფლმხედველობა არ შეცვლიდა ათეული წლების შემდეგაც? (ორლოვი აშშ-ში გადარაიცივდა 1973 წელს).

ვალტერ გერმანეს ძე კრივიცი (ნამდვილი სახელი – შამუელ ჰერშის ძე გინზბურგი). პოლიგლოტი, ფლობდა პოლონურ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და პოლანდიურ ენებს. სსრკ წითელი არმიის სადახვევო სამმართველოს ერთ-ერთი მსხვილი სპეციალისტი დასავლეთევროპული ქვეყნების განხრით. ასწავლიდა მხვერავთა მომზადების უმაღლეს სკოლაში, ეკავა თანამდებობა, რომელიც უტოლდებოდა წითელი არმიის ბრიგადის მეთაურის რანგს. 1933 წლიდან 1934 წლამდე იყო სამხედრო მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი.

1937 წლის 22 მაისს კრივიცი სასწრაფო მივიღინებით გააგზავნეს ჰაავაში.

1937 წლის 17 ივლისს ეგნატე რეისი (იგივე – ნათან პორეცი), თანამშრომელი, რომელმაც შეცვალა კრივიცი მოსკოვიდან წასვლის დროს, დაიწყო შეხვედრა იყო რა, რომ სტალინს ქვეყანა დაღუპვისაგან მიჰყავდა, შეხვედა პარიზში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელს ლ. გროზოვსკის და მისი მეშვეობით გადასცა პაკეტი მოსკოვის ხელმძღვანელობას. მასში

აღმოჩნდა წერილი სკკპ (ბ) ცეკასადმი და წითელი დროშის ორდენი, რითაც რეისი დაჯილდოვდა 1928 წელს, მნიშვნელოვანი სახელმწიფო დავალების შესრულებისათვის. მალე კრივიციმ შეიტყო, რომ რეისმა კავშირი გაუწყობა საბჭოთა სამსახურთან და გაეცნო მის წერილს, რომლის ადრესატიც გახლდათ სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. წერილში რეისი ამტკიცებდა:

“ის, ვინც ახლა ჩუმადაა, უნებლიედ ხდება სტალინის ხელშეწყობი და მუშათა კლასისა და სოციალიზმის მოღალატე... მე საკმაო ძალა გამაჩნია საიმისოდ, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყო. არადა, ყველაფერი მართლაც თავიდან დასაწყებაა, რათა სოციალიზმი გადავარჩინოთ... მე ვიბრუნებ თავისუფლებას. ვუბრუნებდი ლენინს და მის სწავლებას. მთელი ჩემი ძალები მინდა შევწირო ლენინს, მე მსურს ბრძოლა და ჩვენი გამარჯვება – ეს იქნება კაცობრიობის კაპიტალიზმისაგან განთავისუფლება და საბჭოთა კავშირის დახსნა სტალინისაგან”.

ტროცკის “მსოფლიო რევოლუციის” იდეა ჯერ კიდევ სუნთქავდა! მაგრამ მალე აღფარდოვანი სიტყვების მიღმა იმალება მთავარი უკმაყოფილების მიზეზი – სტალინური კონსტიტუცია!

1937 წლის შემოდგომაზე კრივიციმ მიიღო გადაწყვეტილება მიემართა საფრანგეთის მთავრობისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიღების თხოვნით. 1937-1938 წლებში იგი საფრანგეთში ცხოვრობდა, 1938 წელს კი გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სწორედ მან “ჩაუშვა” 1934 წელს გადმოხრებული ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დრმა დაშიფვრის ოფიცერი, რომელსაც სასამართლომ 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მოგვიანებით, ბრიტანეთის სადახვევო სამსახურის საქმეების გამოძიებების შემდეგ გაირკვა, რომ კრივიციმ გამოავლინა 100-ზე მეტი საბჭოთა აგენტის ვეროპასა და ამერიკაში, დამიფრად ბრიტანეთს ერთად გამოვლენილი იქნა ცნობილი “კემბრიჯის ჯგუფის” ხელმძღვანელი კიმ ფილდი.

1939 წელს გამოიცა მისი წიგნი “როგორ ვიყავი სტალინის აგენტი”. მაგრამ ა. მარტიროსიანი ამტკიცებდა, რომ წიგნი დაწერა არა კრივიციმ (რომელმაც არ იცოდა ინფორმაციები არაა არაა) არამედ ბრიტანეთის აგენტმა, რუსული ემიგრაციის წარმომადგენელმა ისააკ ლონ ევინმა. ამ “მემუარებში” ბრიტანულმა დახვევამ გააქურდა მისთვის იმ პერიოდისათვის აუცილებელი ვერსიები ტუხანავსკის შეთქმულების ლიკვიდაციის შესახებ. მიზანი: სტალინი მიხანმომართულებად ანადგურებდა ტუხანავსკის და მის “თანამებრძოლებს”. იმიტომ, რომ ისინი ხელს უშლიდნენ პიტლერთან კავშირების დამყარებას. და “მსოფლიო საზოგადოებრიობამ” ირწმუნა ეს სისულელე.

ჰენრის სამუელის ძე ლიუშკოვი – სახელმწიფო უშიშროების მესამე რანგის კომისარი (ტოლფარდია გენერალ-ლეიტენანტის წოდებით).

1937-1938 წლებში იგი იყო შინსახკომის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შორეულ აღმოსავლეთში. მისი ხელმძღვანელობით დაპატიმრებული იქნა ადგილობრივი შინსახკომის 40-მდე თანამშრომელი, მათ შორის ადგილობრივი შინსახკომის ყოფილი უფროსი ტ.დ. დერბაზა, “დალსტროის” საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს თავკაცი ე.პ. ბერხინი. მთ ბრალად ედებოდათ მემარჯვენე ტროცკისტული ორგანიზაციის შექმნა შინსახკომის ორგანოებში. ლიუშკოვი გახლდათ შორეული აღმოსავლეთიდან კორეელების დეპორტაციის მთავარი ინიციატორი, ასევე, სხვა ენების წინააღმდეგ მოწყობილ რეპრესიებში.

ლიუშკოვი გახლდათ იაგოდას მიერ წამოწვეული ყველაზე დიდი მალაჩინოსანი, რომელიც კიდევ დიდი ხანი ინარჩუნებდა პოზიციებს იაგოდას განადგურების შემდეგ.

უფრო მეტიც – სსრკ შინსახკომის ახალი ხელმძღვანელი ყოველნაირად იცავდა მის სახელს კომპრომენტებისაგან. იაგოდას მიესაჯა დახვედრა მოსკოვის მესამე პროცესზე და 1937-1938 წლებში ჩეკისტები მის სახელთან ერთად სწორად ასხენებდნენ ლიუშკოვსაც. მის აქტიურ მონაწილეობაზე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში დიად მიანიშნებდა ამიერკავკასიის სამხარეო შინსახკომის უფროსი დ.ი. ლორთქიფანიძე. მაგრამ, ეყოფა ეს ყველაფერი არ მიიტანა სტალინის ყურამდე და მოითხოვა ფრინოვსკისაგან, რომ დაეკითხა იაგოდა და დაემტკიცებინა ლიუშკოვის სრული უდანაშაულობა. იაგოდას მოადგილის გ.კ. პროკოფივის ჩვენებიდან ამოშალეს ლიუშკოვის მაკომპრომენტებული სიტყვები. ფრინოვსკიმ ეჭვი გამოთქვა ლიუშკოვის უდანაშაულობის დამტკიცების თაობაზე, მაგრამ ეყოფა გადაარწმუნა თავისი მოადგილე.

ლიუშკოვის შორეულ აღმოსავლეთში გაზაფხვის შემდეგ მოვიდა მასზე მაკომპრომენტებული მასალები ლ.კ. მირონოვისაგან (სსრკ შინსახკომის უშიშროების სამსახურის კონტრდახვევების ყოფილი უფროსი) და ნ.მ. ბისტრიხისაგან (მუშურ-გლეხური მილიციის ყოფილი უფროსის მოადგილის ძმა). პირველი მათგანი ეყოფა თავიდან დააკითხინა და აიძულა, რომ უარი განეცხადებინა პირველ ჩვენებაზე მეორე მათგანი, უბრალოდ, კრიმინალად გამოაცხადეს და მისი საქმე მიიღივს სამეულს გადაეცა, რაც თავისთავად გამორიცხავდა საქმის პოლიტიკურ შემადგენელს.

გაიგო რა ლიუშკოვის გაქცევის თაობაზე, ეყოფი ხამამალა მოთქვამდა: “ახლა მე ნამდვილად დავიღუპე”. ეყოფის მიერ სტალინისადმი მიწერილი ბარათიდან:

“შეიძლება ითქვას, რომ მე ჭკუიდან გადავდექი. გამოვიდაზე ფრინოვსკი და კუთხარი, რომ ერთად მოხსულიყავით თქვენთვის ამ ამბის მოსახსენებლად. მაშინ ფრინოვსკიმ თქვა: “ახლა ჩვენ მკაცრად დავგვჯავან”. იმდენად თვალნათელი იყო ჩვენი დახვედრის სამარცხეინო ჩავარდნა, რომ ამგვარი შეცდომისათვის თავზე ხელს არავინ გადაგვისვამს”.

ლიუშკოვი სსრკ შინსახკომის სისტემის ყველაზე მალაჩინოსანი იყო დასავლეთში გაქცეულთა შორის. იგი მუშაობდა ტოკოსა და დაირენში (დალიანი) იაპონიის გენშტაბის სადახვევო ორგანოებში (აღმოსავლეთ აზიის შემსწავლელ ბიუროში, კვანტუნის არმიის შტაბის მეორე განყოფილების მრჩეველად). ლიუშკოვმა იაპონელებს გადასცა მეტად მნიშვნელოვანი მონაცემები საბჭოთა შეიარაღებულ ძალებზე, კერძოდ, მათთვის უადრესად საინტერესო რეგიონზე – შორეულ აღმოსავლეთზე. იაპონელებმა მიიღეს დაწერილებითი ინფორმაცია ჯარების დისლოკაციის თაობაზე, დაცვითი ნაგებობების, სიმაგრეების და დოტების მშენებლობაზე და ა.შ. მათთვის მოულოდნელი იყო, რომ საბჭოთა კავშირი შორეულ აღმოსავლეთში იაპონიაზე ბევრად უკეთესად აღჭურვილი სამხედრო თვალსაზრისით. გარდა ამისა, ლიუშკოვმა იაპონელებს გადასცა საბჭოთა ჯარების დისლოკაციის სქემები არა მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთში, არამედ ციმბირში და უკრაინაში, გადასცა მათ რადიოკოდები. ამავე დროს, გაუშინდა იაპონელებს შორეულ აღმოსავლეთში მიმუშავე საბჭოთა მხვერავთა მონაცემები (კერძოდ, ყოფილ გენერალ ვ. სემიონოვზე).

მაგრამ, მხოლოდ ეს სამი რომ გაქცეულიყო, კიდევ არა უშავდა! ადრე გაქცეულები სტალინს საშინელი სიტყვებით ლანძღავდნენ. ასე რომ, ლაგრენტი ბერიას ჩასაფიქრებლად ნამდვილად ჰქონდა საქმე.

1939 წლის 6 თებერვალს (სსრკ შინსახკომის სამხალხო კომისრად დანიშნვის შემდეგ) ბერიამ თავის დღიურში შემდეგი ჩანაწერი გააკეთა:

“დახვერვა განსაკუთრებული სფეროა. აქ ყველაფერი პირადად მე უნდა შევა-მოწმო. ძალიან ფაქიზი საქმეა და საშინლად აურ-დაურეს ყველაფერი”.

ისიც სახეზე იყო, ვინც აურ-დაურია ყველაფერი... ძნელია თავი შეიკავო და არ დაიბოწმო იმდროინდელ მატინეზე მომუშავე მწერალ იური მუხინის ციტატა.

“არ არსებობს ოდნავი მინიშნებაც კი იმაზე, რომ სტალინმა, მოლოტოვმა ან კავანოვიმა ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ გაატარეს დრო რესტორანში. მაგალითად, ტროცკის მომხრე პენრის იაგოდამ, რომელიც ფაქტიურად თავაკობდა ქვეყნის უშიშროების ორგანოებს (მთავარ პოლიტსამმართველოს), თავისი ორგანიზაციის ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით, დააბევა მოსკოვის თითქმის ყველა ძვირიანი რესტორანი. ამ გამოკვეთილ პავიანს, დაპატიმრებისას, სხვა უამრავ ხარა-ხურასთან ერთად, ჯიბეში აღმოაჩნდა იმ დროისათვის ყველაზე ძვირად ღირებული პორნოგრაფიული ფოტოების კრებული. ეს გახლავთ პასუხი შეკითხვაზე – თუ რაში იხარჯებოდა დახვედრისათვის გამოყოფილი ფული”.

მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ საზღვარგარეთის რეზიდენტურა მხოლოდ ორლოვ-კრივიციებისაგან (ფვლებინგინზბურგებისაგან) არ შედგებოდა. მაგალითად, აგვისტოდან 1939 წლის ბოლომდე (მიუნხენის ხელშეკრულების ხელმოწერის-თანავე) სტალინის მაგიდაზე ედო 700-ზე მეტი ავენტურული მოხსენება. დახვერვა მუშაობდა! მაგრამ...

“დახვერვა შეიძლება ჩავარდეს, ან არ ჩავარდეს, – წერდა ბერია თავის დღიურში ჯერ კიდევ 1938 წლის ივლისში, – არავინ იცის, ვისი ვინაობა გაუშვავდნენ მტერს ამ არაკაცებმა. უნდა გავერკვეთ... ესე იგი, ყველანი უნდა შემოწმდნენ. უნდობლობა საშინელებაა, რადგან თუ შენ ერთგული ხარ, გეწინება, მაგრამ შენთან არასოდეს გასცემ...”

ერთი საქმეა ტოტალური შემოწმება, რომელსაც შეიძლება წლებიც არ ეყოს. შეიძლება დაჩქარდეს პროცესი, თუ შემოწმებული პროფესიონალია! მაგრამ, სად იშოვნი ამდენ პროფესიონალს, რომელთაც განუსაზღვრელი ნდობა ექნებათ?! “შინსახკომი და სამხედრო დახვერვა იაგოდას და ტროცკის კადრებითაა დაბინძურებული”, – აღნიშნავდა ბერია ჯერ კიდევ 1938 წლის ივლისში.

“დახვერვის მთავარი ბერკეტი ავენტურული საქმიანობა, რომელიც უკიდურესად დაბალ დონეზეა დაყენებული და ვერაფერი კრიტიკას ვერ უძლებს. უცხოური დახვერვა, პრაქტიკულად, თავიდანაა შესაქმნელი, რადგან საზღვარგარეთის განყოფილება ჯაშუშებით არის გადაჭვდილი”, – აღიარებდა თავის მოხსენებით ბარათში ნიკოლოზ ეყოვი, რომელიც სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნასთან ერთად გაუგზავნა პოლიტიბუროს. ეს იყო ნოემბერში, ჯერ კიდევ მის დაპატიმრებამდე და ბერიას დანიშნამდე სახალხო კომისრის თანამდებობაზე.

მაგრამ “იაგოდა-ტროცკის” კადრებმა და “მათ მიტმასნილმა” ეყოფა ერთობლივად დატოვეს კვალი მთავარ მოვლენებში – 1936-1938 წლების რეპრესიებში.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი, (გაგრძელება იქნება)



ქართული გენი და, მისი დაბრუნების ახლად აღმოჩენილი აქამდე უხმოი ზოგითი დაჭაღბი

საქინიბო

გაგრძელება წინა ნომრიდან

აქვე მინდა მთელი ფრანგი ხალხის შეხედულება სტალინზე ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით გადმოვცე: "მთელი საფრანგეთი მასზე ლოცულობს, ჩვენ ფრანგები, მას ოქროს ძეგლს დავუდგამთ". როცა მე მათ ვუხსნიდი, რომ ის ჩემი თანამემამულე ქართველია, არ ჯეროდათ და გაკვირვებული შეიძებოდნენ: "წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ასეთმა მცირე ერმა, ასეთი გენიოსი და ბუმბერაზი პიროვნება შეასო".

ძვირფასო მკითხველო! კარგად დააკვირდით, ამას ამბობს ქვეყნიდან გაქცეული მთავრობის თავმჯდომარე და მისი ყველაზე გავლენიანი მინისტრი. ხალხი, რომლებიც უკვე 24 წელია ემიგრაციაში ცხოვრობენ ევროპის შუაგულში. რომლებმაც ამ 24 წ. მანძილზე ყველაფერი ევროპული "სიამე" იკუმეს და, ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქართველოს უსაფრთხოებისა და შემდგომი კეთილდღეობისათვის, რუსეთთან ყოფნა ჯობს ვიდრე ევროპასთან. ასეა დღესაც. ბ-ნი ჟორდანიასა და გეგეკეორის გამონათქვამებთან დაკავშირებით, საოცარი პარალელი გავლენა შეიძლება დღევანდელ საქართველოსთან მიმართებაში. საქართველოში უკვე ძალიან ბევრი, მათ შორის სსრკ-საგან საქართველოს გამოყოფისათვის უკომპრომისო მებრძოლი რადიკალებიც კი, დღეს დაუფარავად დაპარაკობენ, რომ ისევ რუსეთთან ყოფნა ჯობდა, უსაფრთხოებაც გარანტირებული გვექონდა და ბევრად უფრო კარგად ვცხოვრობდით. მოკლედ, ეს ქართველები რა ერთ ვართ ასეთი, მაინცდამაინც 25 წელი უნდა გაატაროთ წვალუბა-გაჭირვებასა და უბედურებაში ჭეშმარიტებამდე რომ მიხვიდეთ? ვაი ჩვენს პატრონს უბედურს.

ღმერთო შენ უშუალოდ ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანასა და ხალხს.

ეს ყველაფერი პირადად მაქვს მოსმენილი ბიძაჩემისაგან, რომელსაც 1969 წ. იანვარში ინსულტი მოუვიდა და მთელი შვიდი წლის მანძილზე ლოცინად იყო ჩავარდნილი. როცა სახლში მარტო რჩებოდა, ვეხმარებოდი და მთელ თავისუფალ დროს მასთან ვატარებდი. ბ-ნი ვევი ჟორდანიას თავისი შესანიშნავი წიგნის, "დაბრუნებული საუნჯე"-ზე მუშაობისას, ბიძაჩემის ხშირი სტუმარი იყო და, თითქმის მთელი წიგნი ბიძაჩემის ნაამბობზე აქვს შექმნილი. მქონდა ბედნიერება მათი საუბრების უმეტესობას დაესწრობოდი, და კიდევ ერთხელ მომესმინა ის, რაც ბიძაჩემისაგან ადრეც ბევრჯერ მქონდა მოსმენილი.

აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილის პირადი აზრი და დამოკიდებულება სტალინის მიმართ. განძის საბოლოოდ აღწერისა და საქართველოში დასაბრუნებლად ჩაბარების შემდეგ, სავარაუდოდ 1945 წ. თებერვალში, ბიძაჩემს აკაკი ნიჟარაძეს, პარიზში, ელენე ფერაძის რესტორანში ქართველ პარტიზანების სახსრებით გაუმართავს ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდნენ: ე. თაყაიშვილი, გ. გეგეკელი, ა. ბოგომოლოვი, ა. გუზოვსკი, ქართველი პარტიზანები, აგრეთვე საბჭოთა სამხედრო მისიის ოფიცრები. ბანკეტს ექვთიმე თაყაიშვილი თამაშობდა. ექვთიმე წარმოთქვა სიტყვა, რომლის თქმად აირჩია: "სტალინი, როგორც საერთაშორისო დემოკრატიის ბელადი". ამ თემაზე, მას თითქმის მთელი ნახევარი საათი უღაპრანია, რომელსაც დამსწრეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია და დიდი ოვაციით შეხვედრიან.

აკაკი ნიკოლოზის-მე ნიჟარაძე, შინაურებში ნაკიდ წოდებული ბიძა მეკუთვნიდა, იგი დაიბადა 1909 წ. თბილისში. წარმოშობით წყალტუბოს რაიონის სოფ. მადლაკიდან იყო, მაგრამ იმ პერიოდისათვის ოჯახი ფოთში ცხოვრობდა. ბ-ნი გიორგი დოწინიძისთან, დავით გამრეკელსა და რადიკალურ ელიტულად შეიძლება ერთად 1927 წ. დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ეს უადრესად განათლებული და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი კაცი, ტრავიკული პიროვნებაც გახლდათ. კაცი, რომელმაც ყველა ჯოჯოხეთი გამოიარა, ჯერ იყო და 12 წელია უმამოდ იზრდებოდა, რადგან მამამისი ბ-ნი ნიკოლოზ ნიჟარაძე, როგორც ჟორდანიას უახლოესი მეგობარი და თანამზრახველი 1921 წ. მას თან გაჰყვა ემიგრაციაში და პარიზში ცხოვრობდა. ომის დაწყებიდან 15 წლის მანძილზე ოჯახს მოწყვეტა, ამ ხნის განმავლობაში ფრონტი, ტყვეთა ბანაკი, საფრანგეთის ემიგრაცია, და ბოლოს საბჭოთა ბანაკში 6 წლის გატარება. მოკლედ, მის თავზე წისკვილის

ქვა არ დატრიალებულა თუ არა, დანარჩენი ცხოვრების ყველა სიმწარე უხვად ერგო და თავის თავზე გამოსცადა. მიუხედავად ამისა, იგი თავისი ქვეყნის გულმხურავად პატრიოტი, და მასზე უზომოდ შეყვარებული ქართველი იყო. ყველა ფრონტზე სადაც კი მას უმოღვაწია, ეს ომიანობის პერიოდი იყო, მშვიდობიანობის თუ ემიგრაციაში ყოფნა, ყოველთვის ქართულ საქმეს აკეთებდა და უანგაროდ ემსახურებოდა თავის სამშობლოს. 1942 წ. ქერხის ბრძოლებისას, ტყვედ ჩავარდა და რუმინეთის ტყვეთა ბანაკში იხდიდა სასჯელს. 1944 წ. მიხეილ კედიას უშუალო ჩარევითა და შუამდგომლობით, იგი ჯერ ბერლინში, ხოლო შემდეგ პარიზში მამამისთან იქნა გადაყვანილი. მამამისმა, ბ-ნმა ნიკოლოზმა იგი ექვთიმესთან მიიყვანა, რომელიც, იმ დღიდან, მასთან ერთად ჩაერთო და საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ქართული განძის დაცვაში, შენახვასა და ფაშისტებისაგან მის გადასაღვს საქმეში. იყო განძის დამბრუნებელი კომისიის წევრი. უფრო მეტიც, ისეთი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ გუზოვსკიმ მისი უშუალო რეკომენდაციით, კომისიის წევრად შეიყვანა კოლია მელაძე. საქვეყნოდ ცნობილია, რომ სამშობლოში დაბრუნების წინ ბ-ნმა ექვთიმემ, საქართველოში დასაბრუნებლად გამხადებული განძის ხელახლი აღწერა დაწყო. 39 ყუთში მოთავსებული განძიდან მხოლოდ 25-ის აღწერა მოასწრო, რადგან ავად გახდა და მუშაობის გაგრძელება ვეღარ შეძლო. დარჩენილი 14 ყუთი, განსაცვიფრებლად მცირე დროში, 3 დღეში აღწერა ბიძაჩემმა, მაშინ როცა ბ-ნმა ექვთიმემ იმ 25 ყუთის აღწერას თითქმის ერთი თვე მოანდომა. ამ ფაქტს, ბ-ნი ექვთიმე ხშირად იხსენებდა და ბიძაჩემს სიყვარულს უწონებდა.

ბ-ნი პეტრე შარია, განძის წამოღებისას თითქმის მთელი სამი თვის მანძილზე იმყოფებოდა პარიზში. ამ ხნის განმავლობაში იგი ძალიან დაუახლოვდა ბიძაჩემს. როგორც ჩანს, განძის დაბრუნების გარდა, მას ემოცირებული მენშევიკურ მთავრობასთან პოლიტიკური საკითხების მოგვარებაც ჰქონდა დაკავებული. ამიტომ, ბ-ნი პეტრეს ძალიან უნდოდა ჟორდანიასთან შეხვედრა, მაგრამ ის თავს იკავებდა და არ ხვდებოდა. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ეს შეხვედრა მაინც არ შედგა. საქვეყნოდ ცნობილი იყო, რომ ბიძაჩემის მამა, ნიკოლოზ ნიჟარაძე ჟორდანიას უახლოესი დახაერდენი, ერთგული მეგობარი და ბოლომდე მისი შეხედულებების გამხიარებული ჭირისუფალი იყო. იგი 1921 წ. თან გაჰყვა ჟორდანიას ემიგრაციაში და ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა მას. ეს, შარიაძე კარგად იცოდა და ბოლოს, უკვე ბიძაჩემს სთხოვა, იქნებ დაიყოლიო მამაშენი და ჟორდანიასთან შეხვედრა მომიწყოსო. მართლაც, ბიძაჩემის მონდომებამ ნაყოფი გამოიღო და რამდენიმე თვის განმავლობაში, ბ-ნმა ნიკოლოზმა ჟორდანიას დათანხმდა პეტრესთან შეხვედრაზე, და ეს შეხვედრაც შედგა ლევილში, მისივე ბინაში.

ასე რომ, "ძვირფასო ნაციონალი ურწმუნო თომებო", ახლა მაინც გამოიფხიკეთ ყურები და მიიფხვინეთ თვალები. და-მოუკიდებელი საქართველოს თავკაცი, რომელიც თქვენი აზრით "ოკუპირებული" იყო სტალინისა და ორჯონიკიძის მიერ, თვითონ არაფერს ამბობს ოკუპაციაზე და, სტალინს ოკუპანტად კი არა, ზეკაცად მიიჩნევს, ხოლო საქართველოს რუსეთისაკენ ორიენტაციას ურჩევს. თქვენ კიდევ ოკეანეს გადმიდან მიღებული დავალების თანახმად, ასეთი კაცის ძეგლს ანგრევთ და, მის სახელს დაფში სხობთ. ისე, ბევრად ჯობია, მათი დავალების უსიტყვოდ შესრულებას თავი დაანებოთ და წიგნის კითხვას მოუმატოთ, იქნებ ამით მაინც ცოდნა ოდნავ გაიღრმავოთ, ვირტუალური მდგომარეობიდან გამოხვიდეთ და რეალურს დაუბრუნდეთ.

ვაი თქვენს პატრონს უბედურს. P.S. წერილი დამთავრებული მქონდა, როცა მ.წ. 17 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ბ-ნი როინ მეტრეველის უშუალო ხელმძღვანელობით, შედგა ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილის თორმეტტომეულის პირველი ტომის პრეზენტაცია, რომელსაც მეც წაწერებოდა. სამწუხაროდ, თითქმის ყველა გამომსვლელის ტექსტს ლეიტმოტივად თან სდევდა აზრი, რომ განძი საქართველოში ბ-ნმა ექვთიმემ დააბრუნა. ამასაც არ დასჯერდა და პროფესორმა, ქ-ბ-ნმა ნათელა ვანჩაძემ, ისევე მის შინაპარტიზობაზე, უნივერსიტეტიდან გაშვებასა და ხელისუფლების მიერ მის მიმართ

სხვადასხვა სახის დისკრიმინაციაზე ილაპარაკა. ყველაფერ ამის დასადასტურებლად კი ქ-ბნ მარიამ ლორთქიფანიძის ნაამბობი მოიშველია. თურმე, გარდაცვალების წინაღვეს, იგი კვ-ში გამოუძახნიათ და მასზე ისეთი ზეწოლა მოუხდენიათ, რომ მეორე დღეს გარდაიცვალაო. (ამ დროს, როგორც მას ბ-ნი ექვთიმე უწოდებს, მისი პირადი მეტერი რუხაძე უკვე კაი ხნის დაპატიმრებული) თითქოს საჭმელიც არ ჰქონდა და, რომ არა ნათესავები შიმშილით მოკვდებოდაო, რაც სწორი არ არის და სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს. ეს ყველაფერი ქ-ნ მარიამის მიერ შეთხზული და მის მიერვე გავრცელებული ჭორია. საქვეყნოდ ცნობილია, და მრავალჯერსაა გამოქვეყნებული ბ-ნი ექვთიმეს დაკითხვის ოქმი, რომელიც მის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1952 წ. 24 თებერვალს შედგა საქართველოს უშიშროების კომიტეტში. დაკითხვას თვითონ მინისტრი რუხაძე აწარმოებდა. ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ დაკითხვა სრული კორექტულობის დაცვისა და ურთიერთპატივისცემის ნიშნით მიმდინარეობდა. ამასთან, მას არა როგორც ექვმიტანილსა და დამნაშავეს, არამედ როგორც მოწმეს ისე კითხავდნენ. როგორც ჩანს მისი დაკითხვის ძირითადი მიზანი ე.წ. "შეგვრელთა საქმის", ერთ ერთი მთავარი მოქმედი პირის, ბ-ნი პეტრე შარიას მიმართ, ინფორმაციის შეგროვებას ეხებოდა. რაც შეეხება შიმშილს, კაცი ხელფასის სახით ხუთი ათას ხუთას მანეთს იღებდა თვეში, მაშინ როცა ავტომობილი "პობელა" 16000 მანეთი ღირდა. ასეთი შემოსავლის მქონე კაცს, რაში ჭირდებოდა ნათესავების მიერ მიტანილი სამათხოვრო საჭმელი. როგორც მარტოხელა, ეტყობა თავის მთელ ხელფასს ნათესავებს აძლევდა, ისინი კიდევ ამ ხელფასის ძირითად ნაწილს თვითონ ითვისებდნენ, მცირე ნაწილს კი მის საჭმელში ხარჯავდნენ და მერე იძახოდნენ, ბ-ნი ექვთიმეს ჩვენ ვარჩენით. საყოველთაოდ ცნობილია, ბ-ნი პეტრეს საფრანგეთში ყოფნის დროს მისი დამოკიდებულება ქართველი ემიგრანტების მიმართ. როგორ ქედმაღლურად ექცეოდა მათ, სუფრაზე, როცა კარგად შეზარხოშდებოდა, მათ ქვეყნის გამოიდევნებასა და მოღალატეებს ეძახდა. (თუმცა ბევრი მათგანი ამ ტიტულს ნამდვილად იმსახურებდა) რის შესახებ თვითონ ბ-ნი ექვთიმე ამბობს: "მარია თვლიდა, რომ მისთვის დამამცირებელი იყო ჩემისთანა უბრალო ადამიანებთან შეხვედრა". ასევე საქვეყნოდაა ცნობილი მაშინდელი საქართველოს ცკ-ის პირველი მდივნის, აკაკი მეგლაძის სახელზე, ბ-ნი ექვთიმეს მიერ დაწერილი განცხადების შინაარსი, სადაც იგი დამაჯერებლად ხსნის მისი უნივერსიტეტიდან წამოსვლის მიზეზს. ყველაფერ სხვას კი არაკეთილმოსურნეთა მიერ გავრცელებულ ჭორს უწოდებს და, ამაში პირადად რუხაძეს ადანაშაულებს. ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავს პენსიის საკითხთან დაკავშირებით გაუგებრობას და ამ საქმის მოგვარებაში დახმარებას სთხოვს. ეს მასალები უკვე კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ დამატებით კიდევ ერთხელაა დოკუმენტალურად გაანალიზებული და ფაქტებზე დაყრდნობით ახსნილია, ახლახან გამოცემულ ბ-ნი გრიშა ონიანის წიგნში "სტალინი".

ქ-ნო ნათელა, მიუხედავად თქვენი და თქვენი სახელოვანი ოჯახის დიდი პატივისცემისა, გავგანდინებდით და ამ საქციელს ვერაფრით მოგიწონებთ. უფრო მეტიც, გთხოვთ ყველაფერი ეს კარგად წაიკითხოთ და შემდგომში ასეთი მაღალი დონის მსმენელები გავესებულ აუდიტორიას, ობიექტურად სიმართლედ ელაპარაკოთ. არ არის ღამაზი, როცა გამოდიხართ და მეცნიერებათა აკადემიის კედლებში, ასეთი დონის აუდიტორიას, ქ-ნ მარიამის მიერ ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაციით ესაუბრებოთ. ასეთი საუბარი, ისიც პროფესორს, არა თუ მეცნიერებათა აკადემიის კედლებში, არამედ რომელიმე სოფლის კლუბში შეკრებილ მენაიუმეს მიმდევარი გავესებულ აუდიტორიასთანაც არ ეკადრება. ქ-ნო ნათელა, შეიძლება ტაქტი და ეთიკის ნორმა ცოტა დავარღვიე, მაგრამ სიმართლედ რომ არ მეთქვა არ შემეძლო. რისთვისაც გულწრფელად გიხდით ბოდიშს.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ბ-ნი ექვთიმეს გარშემო გავრცელებული ინფორმაციის საიმედოება ვის უფრო დაეჯერება, ბ-ნი ექვთიმეს, თუ ქ-ნ მარიამს. ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან!

ომარ ბოცაძე

ნერონის სენატორ ცხენის შთამომავლობა მომრავლდა და რაღაც ძალამ შეაბნელმა ის საქართველოს მომადლა. დათვლა არ უნდა, ისეც ჩანს, არც მეტი, არც ნაკლებია, მთავრობა ხელში ჩაიგდეს, აავსეს პარლამენტი. თავლა აიგეს ბრწყინვალე, ბაგა დაიდგეს ოქროსი, რომ ჰკითხო, ყველა წმინდაა - ქალწულობა აქეთ გოგოსი. თბილისი აღარ იკმარეს, ქუთაის-ქალაქს გაფრინდნენ, „დიდება“ ყურად არ იღეს, აუროდრომზე დაფრინდნენ. არად ჩააგდეს თვისება - გაფრთხილებანი ჭინჭრისა, არც მკერდზე ხელის დადება - წინაპართ დაფიცებისა. კაცთა გარეშე შეცვივდნენ, მცველი არ დახვდათ ჭიშკრისა, ცას მიწვიდნენ გოდება უმწყო დედა-შვილისა! მიცვივდნენ პირსისხლიანი, ატეხეს რია-რიალი, და „საქართველოს დიდების“, დაამხეს მემორილი. ხანი საკმაო გავიდა ამ საზიზღრობის თმენისა, მაგრამ ჯერ არცინ გამოჩნდა გამქარებელი წყენისა. ახალშობილი ქართველი პირს არ აკარებს ძუძუსა, საიქიოდან ხმა ისმის - მამა-პაპათა რისხვისა! - „სადა ხართ, ივერთ ბიჭებო, არ გაწყდა ძარღვი თმენისა?! არ გეყოთ, კუნა და ძიბგნა, სიხლის და ხორცის, ძმებისა?!" დღეს დიდი ფერმა შეიქმნა, საცხოვრებელი რემათა, ერთურთის გვერდით სადგომად, სასიამოვნოდ კდემათა. გამრავლებულა ჭაკი და გვერდით მოუსვამს კვიცია, მათ შორის მრავლად ურა და ფაშატი ამომიცვნიან. სარემაცესა აჯილდას გვერდით უღვანან ტაიჭნი, სახედრად ბევრი გამხდარა, იცის, ამით თავს არ ისჯის. ბევრია ჰუნე, ჯინიბი, თავსა ეძახის მარტაფას, რემა და გერმეც დიდგულობს, ჯორთან არიან ბარაქად. ვირთა და ჯორთა შეილობა ჩვენთან გამხდარა მუწუკი, თუმცა ქართველებს ფერებო, დაურქმევიათ მუტრუკი. დაჯაბნებული მონები - ჩვენ, მათი აღსაჯდომლები, ისევე ქართულად გახსენებთ, ვართ ყველა კარაულები. ვინადაც გაცნდი, მად დაფრჩი, არ შევრცხვინე ჯიშია, საკუთარ თავსაც არ ვინდობ, მით ვარ უწყალო ჯიქია. პეი შენ, ქართველთა მოღვამე! კისერს მოიხსენ უღელი, შიში განდევნე - არ გშვენს - გახდი იესოს ჯგუფელი! ნუ ფიქრობ ეშმაკი გჯობნის, ქვეყნად არა ვართ მარტონი, არ მიტოვებს მამა შეილს, ღმერთია ჩვენი პატრონი! ძე ღვთისას, მშვიერს, რომ უთქვამს, - განა უბარალოდ წამოსცდა, დაიმახსოვრე ის სიტყვა - „მამას არ უნდა გამოცდა“

ჯამალ ჯიქია

ქალაქის გამწვანების პილამუსები და მერიის წინააღმდეგ აპოკალიფური შავი პირობები

თბილისის მერიაში, რომ ყველაფერი რიგზე არ არის და უამრავი პრობლემა მოსაგვარებელი, ამაში სადავო არაფერია და ყველა დაპოვანაა. ყველაზე დიდი პრობლემა კი, ხელმძღვანელი კადრების შერჩევის კუთხითაა თვალში საცემი. ასე რომ, მერის მიერ გატარებული კადრების შერჩევის პოლიტიკა ვერაფერით კრიტიკას ვერ უძლებს. ძველი დასაჯერებელია, რომ ახალი კადრების დანიშვნის პოლიტიკას ბ-ნი ნარმანიამ დამოუკიდებლად ახორციელებდეს, და ამ საქმეში მას "აქტიურ დახმარებას" ხეივანი არ უწყევდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბ-ნი ნარმანიამ უმძიმესი შემთხვევები მიიღო ენაწლივით უსაქმური კურნალისტი მერის, ბ-ნი გივი უგულავასაგან, რომელსაც კიდევ უარესი საკადრო პოლიტიკა ჰქონდა და ხელმძღვანელ მუშაკებზე იურისტები, ოფიციალტები და მუსიკოსები ჰყავდა დანიშნული. შერჩევის ნიშანი კი ერთადერთი, მისდამი ერთგულება და მისი მითითებების უსიტყვო შესრულება იყო, ხოლო ყველაფერი დანარჩენი მფორხარისხიანი. მის მიერ შერჩეულმა ასეთმა არაკომპეტენტურმა კადრებმა, რა უქნეს და რას დაამსგავსეს თბილისი, ამას ყველა ჩვენთაგანი ნათლად ხედავს. რა უქნეს გმირთა მოვლას, რას ჰკავს აკადემ-ქალაქი, სადაც შერობები ისეა ერთმანეთს ნახუტებული, იქ გაგლისას სიმჭიდროვისაგან კაცს სული შეგებულება. ამ კაცმა თბილისი გადატანა, რაც დაუთვალეს და ნახეს 55 მილიონი იყო მითვისებული, თუ არამიზნობრივად გახარჯული კარგად აღარ მახსოვს, მაგრამ მაინც დემაგოგობს, "დამნაშავე არა ვარ, პოლიტიკური ნიშნით დამიჯირებს და ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარი ვარ". მოკლედ, უნამუსობას სახდვარი არ აქვს. არანაკლები მილიონები შესანსლა მისმა მოადგილე ალავიძემ, მაგრამ რა? 300.000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გამოუშვა ახალმა მთავრობამ.

ამ კაცმა მარტო ჩემს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ჩემი თანხმობის გარეშე, ძალადობრივი გზით ააშენა 8 მეტრი სიმაღლის საყრდენი კედელი და სკვერი მოაწყო, ყოველგვარი ტენდერის გარეშე ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. ამასთან არამიზნობრივად გახარჯა და წყალში გადაყარა ხალხის მიერ ბიუჯეტში შეტანილი 361 ათასი ლარი. ეს ფაქტი იმიტომ გავისხენ, რომ ზუსტად მისი გირაოთი განთავისუფლების წინა დღეს, თუ არ ვცდები 2014 წ. 26 ივლისს დააკავეს ქობულეთის გამგებელი, რომელსაც ბრალად წაუყენეს ქალაქის ფასადის გასაღამაზებლად ტენდერის გარეშე გახარჯული 107000 ლარი. პირდაპირ საკვირველია ჩვენი პროკურატურის საქციელი, ამ კაცმა, მართალია ტენდერი არ წაუტარებია, მაგრამ თანხა მიზნობრივად მაინც დახარჯა. ალავიძემ კი 4-ჯერ მეტი თანხა დახარჯა არამიზნობრივად, თანაც ტენდერის გარეშე. ასეთ კაცს უშვებ და მისი მეთავე დანაშაულში შემხვეულს იტყვ, ეს როგორი სამართალია ვერაფრით გამოვია. აღნიშნულის შესახებ რამდენჯერ მივწერე პროკურატურას მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიმიღია. ვინმემ დათვალა, რამდენი ხე მოჭრეს აკადემ-ქალაქის ამ მონაკვეთზე? რატომ მაშინ არ იღებდა ხმას ქ-ბნი ნატა და აქციებს არ აწყობდა? მაგრამ მაშინ უგულავას ძუძუ ჰქონდა პირში ნადებული და, როგორც ამბობენ ბარაქი-ნადაც წოვდაო. ნარმანიას კიდევ თავისთვის არაფერი აქვს და ფერადისათვის რა უნდა გაენაწილებინა. რაც შეეხება ამ აქციას, ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე პირდაპირ ეტყობა, რომ ვიღაცის მართულია. კერძოდ მისი, ვისაც არეულობა და ქვეყნაში დესტაბილიზაცია აწყობს. თუ ვინაა ასეთი ძალა, ამას მკითხველი ადვილად მიხვდება. ჯერ ერთი, როგორც ირკვევა ეს ტერორიზმი კერძო საკუთრებაა და მისი პატრონი, როგორც უნდა ისე მოიქცევა თავის საკუთრებას. შენ რომ ფერადე ხარ, და დიდის ამბით თავს წარმოაჩენ ქალაქის პატრონად, და მისი დაცვით თურმე დამეები არ გიძინავს, (მეტი შენ რა გითხარი) სად იყავი მაშინ როცა ეს ტერორიზმი გასხვისდა და სხვის კერძო საკუთრებაში გადავიდა? რა, ნარმანიამ გაასხვისა და უგულავასავით იქედან წილი აიღო? მთელი თბილისი ლაპარაკობდა ნებისმიერი მადლივი შენობის

ბოლო ორი სართული უგულავასათ. კიდევ კარგი, რომ დღევანდელ მერზე ასეთ რამეს ჯერჯერობით არ ლაპარაკობთ. უგულავამ მთელი პლენარული და რუსთაველი გააშეშლა, ასობით ასწლოვანი ჭადრის ხეები მოჭრეს და ხმა არ ამოვიღიათ, ახლა კიდევ ამ დაავადებულ 45 ხეს ქვეყანა გადააყოფეთ. ამ კაცმა, რამდენი ქალაქისათვის სასიკეთო საქმე წამოიწყო, იმდენი საბოტაჟის, წინააღმდეგობებისა და ათასი ცილისწამებების ბარიერული გადალახვა მოუხდა. ნარმანიას თავისი მერობის პერიოდში სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, თავისუფლების მოედნიდან პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობა რომ ადგენინა, მარტო ეს ყველა თავის მოსაწონებლად. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე თბილისის მოსახლეობის თითქმის 80%, გაწამებული იყვნენ კოლმეურნეობის მოედნამდე მესაფრებით. ამ მონაკვეთზე საავტომობილო გზის აღდგენით კი დაისვენა და შვებით ამოისუნთქა დიდმის, დიდუბის საბურთალოს, ვაკის, მთაწმინდა-ვერის, სოლოლაკის, კოჯორის, ოქროყანის, შინდისის, ტაბახმელასა და წყნეთის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობამ. აღარაფერს ვამბობ იმ გადატვირთული მონაკვეთის საცობებისაგან განთავისუფლებასა, და ათასობით მძღოლის შემსუბუქებულ მდგომარეობაზე. ხომ გახსოვთ, რა ამბავი ატყდა ამ პროექტის განხორციელების დასაწყისში. რაღა არ დააბრალეს, საწყალ ნარმანიას, ღამის ქართული ხალხისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მტრად გამოაცხადეს. უგულავას რომ ხალხი და მათი აზრი ფეხებზე ეკიდა, სასტუმრო "აჭარის" გასხვისების მაგალითიდანაც კარგად ჩანს. ვიდაც გაბღენილი მილიონერის გულისთვის, ამ სასტუმროს მეპატრონეს მთელი 26 მაისის სახელობის მოედანიც უფშქაშეს და ცენტრალური გზა გადაკეტეს. ამდენი ხნის მანძილზე მთელი ტრანსპორტის ნაკადი დანიური სახლისა და ამავე სასტუმროს უკანა მხარეს მდებარე ვიწრო ქუჩით გაედინება, და სანამ პეკინის ქუჩაზე გახვალ, არის ერთი ვაიუსველებელი და უგულავას დედის ხსენება არცთუ ეთიკურ ფორმებში. სად იყავი მაშინ ქალბატონო ნატა? როცა სპორტის სასახლის წინ, წითელი ქვიშით მოპირკეთებულ სკვერში "მაკლონაღდისის" ობიექტი ააშენეს და პირწმინდად გაანადგურეს მწვანე საფარი, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა? როცა რესტორან არაგვის მიმდებარე ტერიტორიაზე ასობით მრავალწლოვანი მწვანე ნარგავები გაჩეხეს და იქაურობა გააუკაცრიელეს, მაშინ სად იყავი? მაგრამ მაშინ უგულავას ძუძუ ისე მყარად გეჭირა კბილებით, პირი რომ გაგეღო, ძუძუ ხომ პირიდან გაგეშვებოდა და მშვიდი დარჩებოდი. მარტო ნარმანიას ეყო ვაჟკაცობა და ეს აჭარის გაბღენილი მესაკუთრე ცოტა შეაჯანჯღარა, მოედნის რაღაც ნაწილი მაინც დაათმობინა და იმ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა ცოტა გაუმჯობესდა. თუ ბ-ნი ნარმანიამ მოახერხებს ამ მოედნის რეკონსტრუქციის ბოლომდე მიყვანას და დიდუბეში გამავალი ხიდის აშენებასაც, მას თავისუფლად შეეძლება სინდისის ქეჯნის გარეშე თქვას, რომ მისი მერობის პირველ ვადაში თბილისელებს ღირსეულად მოემსახურა და ქუჩების განტვირთვის ძირითადი პრობლემა თითქმის მოუგვარა. ქ-ბი ნატა, თქვენს აქციებს რომ ვუყურებ, განსაკუთრებით რუსთავე-2-ის ეთერში, პირდაპირ დემაგოგიის კორიანტელი დგას. თუმცა მიჭირს ამას დემაგოგია დავარქვა, რადგან დემაგოგი რომ იყო, ამისათვის საკმაო განათლებაცაა საჭირო. სამწუხაროდ თქვენში ამ ნიშნებს ვერ ვხედავ და უფრო ცილისწამება მგონია. როცა უგულავამ თითქმის მთელი "მზიური" გაანადგურა და ასობით ხეები მოჭრა, არც მაშინ ამოვიღიათ ხმა. მისმა გაყვანილმა გზამ კი რა უბედურებაც მოუტანა ქალაქს ეს ყველა ჩვენთაგანმა ვნახეთ. ჩემს ამდენ შეკითხვას თუ "სად იყავით"? ახლახან ტელევიზიით გამოსვლისას თქვენ თვითონ დამაჯერებლად გაცეთ პასუხი, ვტყნა...ო. რომ მეგონა ეს ქალბატონი მარტო უგულავას ძუძუთი იყო გატაცებული, თურმე უფრო სერიოზული საქმით ყოფილა დაკავებული. თუმცა, უნდა გა-

აწილით და პირდაპირ გითხრათ, ამაში ვკვირდებით და ვეჭვობთ და თქვენი მხრიდან მხოლოდ ტრახახი მგონია. რადგან ვერაფრით დავიჯერებ, თქვენნაირი ფიზიკური მონაცემების მქონე ქალების მოსატად რიგში ვინმე ჩამდგარიყო. როცა ვახუბის გამზირზე მერიის სამსახურის მიერ ქარისაგან მოთხრილი ხის დამწვანება მიმდინარეობდა, უბრალოდ შემეცოდა რუსთავე-2-ის ის ქურნალისტი გოგონა, რომელიც თავისი თვალთ უყურებდა მოთხრილი ხის გამხმარ ფესვებს, მის უზარმაზარ ფულურს, მაგრამ მაინც რამდენჯერმე კითხებოდა მერიის მუშაკს, ხე რატომ მოჭერილი. ეს ახალგაზრდა კორესპონდენტი გოგონა, არც ამ ხის წინ მდებარე კორპუსის მაცხოვრებლების თხოვნა-მუდარას შეუწუხებია, რომლებიც იქ დარჩენილი რამდენიმე ხის მოჭრაზე შეამდგომლობდნენ და თხოვდნენ, ხეები დაბერებულია, დღე-დღეზე შეიძლება წაიქცენ და ვინ იცის ვის იმსხვერპლებსო.

**ამ სიუჟეტიდან
მეორე ღვს მერიის
წინ აქციაზე, ქ-ნი
ნატას გულმხურვა-
ლე მხარდაჭერი
და ქალაქის პიკა-
ტრიოში ვილანს
გლანეიანი მუჭრუ-
კი, არს მებო არს
ნაკლები პირდაპირ
ასხაღებს: მიუხედა-
ვად ამდენი ხეების
მოჭრისა, მერიის
კვლავ აბრძობს
ამ მავნე პრაქტიკას
და კიდევ ერთი ხე
მოჭრისო. ზუსტად
ამ დემაგოგიისა და
სიხურის მანქანის
ბრალია, ქვეყნის
მოსახლეობაში დაბ-
ნეულობა როგორ და
ხალხი ვერ გარკ-
ვეულა, ვინ მართ-
ლია და ვინ მტყ-
უანი. ნათუ სიხურის
თავისუფლება იმას
ნიშნავს, რომ რასაც
გინდა იმას იტყვი,
ვისაც გინდა ტილს
იმას დასწავებ და
ტალახს ესვრი? ხომ
უნდა იყოს რაღაც
კანონი, რომელიც
ცილისწამებასა და
სიხურის თავისუ-
ფლებას ერთმანე-
თისაგან გაარჩევს?**

ქ-ნი ნატას მხარდაჭერებიდან ცალკე გამოყოფის ღირსია ვინმე კუპრაძე. კაცი რომელმაც ქვეყანას თავი გააცნო იმით, რომ თურმე უშიშროების ხალხი დევნის და ბათუმში მის ამბავს კითხულობენ. მერე იყო და უნივერსიტეტში პაპავა არ მოეწონა და მის გადადგომაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. მე როგორც პროფესორსა და ახალგაზრდობის აღმზრდელს, ძალიან მაინტერესებს ამ ვაჟბატონის და ყველა იმ აქტივისტის აკადემიური მოსწრება, რომლებიც უნივერსიტეტის აქციებში მონაწილეობდნენ. სტუდენტებს მარტო უფლება კი არა, მოვალეობაც გააჩნია და მათი უპირველესი მოვალეობა სწავლაა. სტუდენტმა თავი სწავლით უნდა გამოიჩინოს და არა აქციებში მონაწილეობით. საერთოდ მიღებული პრაქტიკაა, ვინც სწავლით ვერ ახერხებს თავის გამოჩენას, ისინი აქციების საშუალებით ახერხებენ ცნობად სახედ გახდომას. აი ზუსტად ამიტომ მაინტერესებს მათი აკადემიური მოსწრება, რადგან ვკვირდებით მეპარება მათ "ფრიაღონობაში". მოკლედ, ბ-ნი ვიქტორი კუპრაძე იყო და ესეც კუპრაძე რაღა, ვაი ჩვენი ცოდვა. ახლა ალბათ გამოხტებიან ზოგიერთები და ნარმანიას აპეკუნობას დამწამებენ, ეტყობა რაღაც გამოჩენა აქვს და ამიტომ ეფერებაო. ნარმანიის ის კაცია, რომელიც ცდილობს სამართლიანობა აღადგინოს, უგულავასავით არ ემალება ხალხს, მათ დებულობს, უსმენს და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება კიდევ. მე პირადად ჩემი პრობლემის მოგვარების თაობაზე შემხვედა, დაპირებაც აღმითქვა, თუმცა ჯერჯერობით მისი ქვეშემდროშების წყალობით, საბოლოოთ თუ აშკარა მაგნეზობლით, საქმე წინ არ წასულა. მე ნარმანიას კი არ ვიცავ, მხოლოდ სიმართლეს ვამბობ და ვწერ, თანაც არა ვინმესაგან გაგონილს, არამედ უშუალოდ განცდილსა და ნახულს. ამ 14 წლის მანძილზე უგულავასა და მისი ხროვის მიერ იმდენი უსამართლობა და ძალადობა ჩადენილი ჩემს მიმართ, რომელთან შედარებით ნარმანიის ანგელოზია. ყოველ შემთხვევაში კორუმპირებული და გამოძაღველი მაინც არაა. თბილისელებისათვის მისი ყურადღების დასადასტურებლად ერთ მაგალითს მოვიყვან. ზუსტად 40 წელია რაც სიმონ ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე ვცხოვრობ. რაც ვერეს ხეობაში ახალი ტრასა გაიყვანეს მთელი მოძრაობა ჩიქოვანის ქუჩაზე გადმოვიდა. ალბათ ყველა თბილისელ მძღოლს მწარედ ახსოვს ამ ქუჩის ყველაზე ვიწრო მონაკვეთი №24 სახლთან, სუპერმარკეტ "ხილიანის" წინ. სადაც პიკის საათებში განხერხილი ავტომობილებიდან, ყოველ დღით და საღამოს იყო ერთი ვაიუსველებელი, გინება და ბევრი მალაქინოსნის დედის ხსენება არც თუ დადებით კონტექსტში. რამდენიმე ხნის წინ, ზუსტად ასე მივწერებ- ნარმანიას უბრალო ცალხაზიან ფურცელზე ორიოდ სიტყვით, ფოტოსურათიც თან დაგურთე და გზის გამტარუნარიანობის გაუმჯობესების გეგმაც შევთავაზე. კაცმა ყურად იღო ჩემი თხოვნა და ის მონაკვეთი ჩემი გეგმის თანახმად შექმნილიდაგვარად გაფართოვეს. მოძრაობა იმდენად გაუმჯობესდა რომ შედარება შეუძლებელია. ხალხიც კმაყოფილია და მძღოლებიც. ამასთან, რაც მთავარია გინების ნაცვლად ნარმანიას სიყონადეს უწონებენ, ხოლო უშუალო შემსრულებელს, საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილე კახაბერ ბაგაშვილს მარჯვენას ულოცავენ. ასე რომ გატინებო, ხალხის ერთი უკიდურესობიდან მეორეში უკიდურესობაში გადასაყვანად და გულის მოსაგებად მათ ძალიან ცოტა ყოფნის ხელისუფალნი! იყავით მათ მიმართ უფრო ყურადღებიანი და გულისხმიერნი, მიუხედავად ეკონომიურად უკიდურეს გაჭირვებაში ყოფნისა, ისინი ამაგს არ დაგივიწყებენ და სიკეთესაც დაგიმსხვერპლებენ.

ოზარ გოცაძე



ილორი განვიხილავთ

კონსტიტუციის პროექტს, დრო კი არ ითმენს!

**მოვლენების
შედეგად,
თვალთვალების
და ყალბი
სიმართლისაქენ
მოვლენის დრო
უკვე არ არის და
პრობლემის წინაშე
სირაქლეისაგური
მალვა კარგს არას
გვიქაღის.
დღეს საქართველო
რეალური
საფრთხის
პირისპირ
აღმორღვა რომორს
სახელმწიფოებრი-
ობის, ასევე
ეროვნული
თვითმყოფადობის
და დემოკრატი-
ზაციის დაკარგვის
თვალსაზრისით.**

მსოფლიო მასშტაბის რეაქციულმა ძალებმა, რომლებმაც პიბრიდული ომის ტექნოლოგია განვითარების უმაღლეს დონეზე აიყვანეს, თავისუფლად შეადგინეს თითქმის ყველა მიზანშეწონილი დამოუკიდებელი ქვეყანაში, დემოკრატიის ყალბი დროებით „გაანათლებს“, „გააბეზინებს“, „დემოკრატიის ოახისებად“ აქციეს ისინი, დამონებული-მოთვინიერებულნი „სტრატეგიულ მოკავშირეებად“ გაიხადეს და მათ ბატონ-პატრონებად მოგვევლინენ. იქ, სადაც ასეთ „დემოკრატიულობას“ და „ჭკუის სწავლებას“ აღვითვინებთ არ შეხვდნენ, მართლა „ასწავლეს ჭკუა“ და სისხლში ჩაახშეს წინააღმდეგობა, ხოლო ამისათვის უკვე არავის სჭირდება არც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და არც მისი რეკომენდაციები. ასეთმა ვითარებამ განაპირობა სისხლიანი პროცესები ერაყში, ლიბანში, ეგვიპტეში, სირიასა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში, სადაც მსოფლიო ჯანდარმად მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც ჯერ კიდევ 1945 წელს მშვიდობიანი ქალაქების მოსახლობად გამოიყენა ბირთვული იარაღი და გაანადგურა იაპონიის ქალაქების ხიროსიმა და ნაგასაკი ასევე ათასობით მოქალაქე. დღესაც კი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შემთხვევას ხელიდან არ უშვებს და „ნაციონალურ საფრთხედ“ აღიქვამს ათასობით კილომეტრებით დაშორებულ ქვეყნებში ვითარების გართულებას, მაშინვე მოუნდებოდა იქ სამხედრო ნაწილების სწავლება და ადგილზე აგზავნიან ავიამზიდებს თუ ცოცხალ ძალებს. საკითხავია, რატომ უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების თუ ნატოს შეიარაღებული ძალები ბალტიისპირეთში, პოლონეთში და, საერთოდ, ევროპაში, იაპონიის ნაპირებთან, ზღვებსა თუ ოკეანების სიღრმეებში?.. მაშასადამე, კარგად ორგანიზებული იდეოლოგიური დივერსია შეიარაღებული ძალებითაა გამაგრებული და უკვე

მსოფლიოს ჯანდარმობის მოტრფივალ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება საფრთხეს უქმნის მსოფლიოს უშიშროებას. პიბრიდული ომისა და მსოფლიოს ჯალათობის საშიშმა იდეოლოგიამ იმდენად მყარად მოიკიდა ფეხი არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ ევროპაშიც, რომ დონალდ ტრამპი ჯერ არნახული წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა, ხოლო ევროპა შიშით თრთოდა, მარი ლეპენი არ აირჩიონ საფრანგეთის პრეზიდენტად. პოდა, დღეს „მიზანში ამოღებულ“ ყველა ქვეყანაში და, მათ შორის საქართველოშიც საკმაოდ მსუყედ ფინანსდებიან ე.წ. „დემოკრატიული იდეების ერთგული მამულიშვილები“, რომლებიც მხოლოდ უცხო ქვეყნების ინტერესებს ემსახურებიან და კარგად გაცნობიერებულად დალატობენ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს. სამართლიან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წესრიგს ეს ჩვენი „კეთლისმზურველები“ რეჟიმად, დიქტატურად ნათლავენ და ყველა ღონეს ხმარობენ ქვეყანაში ანარქიისა და ქაოსის დასამკვიდრებლად. ასეთ განუკითხობას და მოქალაქეთა ფსიქიკის ზონდირებას შედეგად მოჰყვა ადამიანთა აზროვნების დეფორმაცია, რასაც ითვალისწინებს უცხოეთის იდეოლოგიური მანქანა და ეს ყველაზე მეტად სახიფათოა ქვეყნისათვის. ამიტომაც არის, რომ დღეს საუბარი საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების, მოქალაქის ღირსების, პატრიოტიზმის და მამულიშვილობის, ოჯახის შესახებ ირონიული დაცინვის საგანი ხდება და „მოძველებულ, დრომოჭმულ აზროვნებად“ მიიხსენიება. გამრუდებული აზროვნების ფონზე სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლების ნაცვლად აშკარად მკვიდრდება სასტიკი ცენზურა, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს განსხვავებული აზრის გამოხატვა და ადკეთოს საუბარი ისეთ „სამარცხვინო“ და „საჩინო“ საკითხზე, როგორცაა მამული, ენა, სარწმუნოება, სინდისი, პატიოსნება, ტრადიცია, ეროვნული ღირსება, მართლმადიდებლობა და სხვა, ხოლო ადამიანის ღირსების შელახვა, ცილისწამება და დანაშაული თურქი დიდი მიღწევაა და აზრის გამოხატვის თავისუფლება (!). სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი ამ ვითარების დასაძლევად, ქვეყნის მოქალაქეების ინტერესების დასაცავად არაფერს აკეთებს საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობს, უცხოელი მფარველების თვალში ნდობა არ დაკარგონ... და ყველა ხერხით მოაჩვენონ ხალხს და საზოგადოებას, ღირსეული ხელისუფლება ვართო. ჩვენი სამშობლოსათვის ამ ძნელბედობის ვითარებაში ქვეყნის საზოგადოების მოწინავე ნაწილის უმრავლესობამ – მწერლებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, პედაგოგებმა, სტუდენტებმა და მრავალმა სხვამ კონსტიტუციური დემოკრატიული ვარსი და ხმას არ ვიდებთ. არადა, ქვეყანა თვალსა და ხელს შუა იღუპება! სოციალური ფონი და უმუშევრობა, ქართული სოფლების დაცლა და ნა-სოფლარების მომრავლება, ქართული მოსახლეობის რაოდენობის საშიში ტემპით შემცირება, მიწების გაუზარბედი გაყიდვა, უსამართლობა, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა, ქვეყანაში ანარქიისა და ქაოსის შექმნის საქმე კატასტროფულ მასშტაბებს ღებულობს. ისიც ხაზგასასმელია, რომ ქვეყნის ბიუჯეტიც არცთუ იშვიათად უმიზნოდ იხარჯება. გააკეთა ვინმე ანალიზი, დღეს-დღეობით ერთობლივად რამდენი ადამიანი მუშაობს საქართველოს ქალაქების და მუნიციპალიტეტების მერიებისა და გამგებობებში? ე.ი. იქ მომუშავე რამდენი ადამიანი იღებს ხელფასს ბიუჯეტიდან, ბიუჯეტის რა თანხა იხარჯება მათი ხელფასების, პრემიებისა და დანაშაუ-

ბისათვის?... ეს საჯარო ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს და მაშინ კარგად გამოჩნდება ხელისუფლების უყაირათობა და დანაშაულებრივი დაუდევრობა! საქართველოს მთავრობა გადამითვლითა შიშით ვერ ბედავს ქვეყნის შიგ და ქვეყნის გარეთ გაბედული ნაბიჯები გადადგას ქართული სახელმწიფოებრიობის თუ ჩვენი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად. ვაღიაროთ გულახდილად, რომ დღეს ქვეყანას არ ჰყავს ეროვნული ხელისუფლება და ამიტომაც ასე საცოდაოდ და უღიმღამოდ ხდება ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. არადა, მშიშარა კანონმდებლები რომ არ გვეყავდნენ, კონსტიტუციის გონივრული შეცვლა გადაარჩენდა ქვეყანას! რადგან საქართველოს ხელისუფლება ქართული ხალხისაგან გადმოცემულ ძალაუფლებას ვერ იყენებს და გადამითვლს შესვლინებს ვერ იყენებს, დროა ხალხმა თავად შეცვალოს კონსტიტუცია ქართული სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების დასაცავად. საზოგადოება ხომ ძალი და ღონეა ქვეყნისა! ახლა, როცა ჯერ კიდევ შეიძლება ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, უნდა გამოვიკეთოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელი პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელთა გადაჭრა გადაარჩენს ქვეყანას და შემდეგ სხვა პრობლემებზე ვიზრუნოთ. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველ ხალხს მიმდინარე ეტაპის პირველხარისხიან პრიორიტეტად მიაჩნიათ შემდეგი: 1. საქართველოს კონსტიტუციით მკაცრად უნდა აიკრძალოს უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვა. სოფელი არის ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის საფუძველთა საფუძველი და უმისობა გამოიწვევს ქვეყნის დასუსტებას, დაკნინებას და განადგურებასაც. მიწის გაყიდვის გამართლება ინვესტიციების მოზიდვის საბაბით სრული უვიცობა ან საშინელი მზაკვრობა! როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, არასრული მონაცემებით საქართველოში უკვე გაყიდულია 60 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საჯარო უფლები. იყიდება საძოვრებიც, ტყეებიც. სიმბოლურ ფასებში ნაყიდ ქართულ მიწებს უცხოელები სასპეკულაციოდ იყენებენ – ანაწილებენ და ძალიან მაღალ ფასებში ჰყიდიან არაერთხელ მიტყვამს და კვლავაც გაემიერებ, ჩვენ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების იურიდიული უფლება ყოველთვის გვექნება და ეს კონსტიტუციაშიც გასაგებად უნდა დაფიქსირდეს, მაგრამ გაყიდული მიწები მათი დაბრუნების იურიდიულ უფლებასთან ერთად სამუდამოდ გვაქვს დაკარგული! ქართული მიწის ბედი, საქართველოს ბედი! ხელისუფლება, თუ გადამითვლის შიშით ამას ვერ შეიგნებს, უნდა გადადგეს! 2. არამც და არამც არ შეიძლება სხვათა გულის მოსაგებად კონსტიტუციამ ქართული სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკა მხოლოდ ერთმმართველიანი ვექტორით განსაზღვროს. მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ, თითქოს არ ვიცოდეთ რისთვის და ვისი გავლენით ხდება ეს და უაზროდ ნუ ყვლეველაობთ, თითქოს ქვეყნის სამუდამო უსაფრთხოებას ვუყრიდეთ საფუძველს. ჩვენ დასავლეთის წინააღმდეგი არასდროს ვიქნებით. დასავლეთი რომ კულტურის და დემოკრატიის, საკაცობრიო ღირებულებების აკვანი იყო, ამიტომ მიაშურა მას დიდმა სულხან-საბა ორბელიანმა დახმარების იმედით (თუმცა უშედეგოდ), მაგრამ სწორედ დასავლეთში იშვა ფაშაზიმში, სწორედ დასავლეთმა პირველად გამოიყენა ატომური იარაღი მშვიდობიანი მოსახლეობის გასანადგურებლად. დასავლეთი არ ერიდება გაურკვეველი საბაბით და მიზეზით დამოუკიდებელ სახელმწიფოებში იარაღის ძალით შეჭრას, მათი მთავრობის განადგურებას, პირველ პირთა ჩამოხრჩობას და წამებას... ასეთი კატაკლიზმების დროს ჩვენივე

ერთმმართველიანი კონსტიტუცია მოგვევლინება ჩვენი სახელმწიფოს გონივრული და პრაგმატული საჯარო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობის ბორკილად, რასაც შეიძლება საბედისწერო შედეგი მოჰყვეს. ხელისუფლება, რომელიც გადამითვლის შიშით ამას ვერ გაიგებს, უნდა გადადგეს. 3. ოჯახის დეფინიცია კონსტიტუციაში მკაცრად უნდა განისაზღვროს, როგორც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გზა გაეხსნება ქართული ეროვნული ღირსებისა და სულიერი სიმადლის შეურაცხყოფას, რღვევას იმ ტრადიციებისას, რაც საფუძველად უდევს ქართულ ოჯახს – ჩვენი სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველს. ხელისუფლება, რომელიც გადამითვლითა შიშით ამ ნაბიჯს გადადგამს ვერ გაბედავს, უნდა გადადგეს! 4. მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფო მანქანა არ იმუშავებს, თუ არ მოხდება ხელისუფლების მთელი ვერტიკალის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივ ხელისუფლებათა უფლებების მკვეთრი გაფართოება-გადრეგება. დღეს კი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ მონაწილეობენ ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაშიც კი, მათ ბალანსზე არ ირიცხება ადგილებზე მდებარე შენობა-ნაგებობები, მიწები, საძოვრები, მათ არ ემორჩილებიან ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები, სხვა სახელმწიფო სამსახურები. ამიტომაც ისინი ვერ წყვეტენ შენობა-ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო საჯარო უფლების, მიწების, საძოვრების გონივრულად გამოყენების საკითხებს, ვერ წყვეტენ სოციალურ, კომუნალურ და სამეურნეო საკითხებს. ხელისუფლების უზომო ცენტრალიზაცია არის მიზეზი სახელმწიფო მანქანის უმოქმედობისა და უშედეგობისა. ამიტომ თვითმმართველობები კი არ უნდა შეხლდნენ, პირიქით, ყველა ღონის რგოლში მათი უფლებამოსილება ისე უნდა გავართოდეს, რომ სახელმწიფოებრივი თუ სამეურნეო საკითხები ძირითადად ადგილებზე და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით უნდა წყდებოდეს. ხელისუფლება, რომელიც გადამითვლის შიშით ამას არ გააკეთებს, უნდა გადადგეს! ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, როცა ჩვენ ქვეყანას პირისაგან მიწისა ადგილის რეალური საფრთხე ემუქრება, მე, როგორც რიგითი მოქალაქე, რომელიც ოპოზიციონერი არასოდეს ვყოფილვარ და არც მინდა ვიყო, ამჯერად იძულებული ვარ დაველოდო ინტელიგენტური თავშეკავებულობა, თავმდაბლობაც, სხვათა იმედზე ყოფნით გულის დამშვიდებაც და მოგიწოდოთ ყველას, ვისაც არ გეშინიათ ნომენკლატურული ხენისა, ვინც არასდროს იკადრებთ მამამებლობას და მლიქვნელობას, ვისაც არ შეგიძლიათ ყალბი მამულიშვილობით ტრამპისა და თავის გამოდგება, ვისაც ჭეშმარიტად გაღვლებთ ჩვენი მამულის, ენის, სარწმუნოების ბედი, გადარდებთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის, ჩვენი შვილების მომავალი, ვის გულშიც ჯერ კიდევ ანთია ქვეყნისათვის თავდადებული შვილის ღვთიური სანთელი, ვისაც ჯერ კიდევ გესმით ჩვენი მამა-პაპების, სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა დაღი, მათი სისხლის ყივილი დაუყონებლივ გავერთიანოთ ძალისხმევა, გავერთიანდეთ და ვაიძულოთ ხელისუფლება, რომელიც ჩვენ აღვჭურვეთ ძალაუფლებით, ემსახუროს არა გადამითვლითა, არამედ ქართული სახელმწიფოს ინტერესებს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან გონივრული და კარგად გაანალიზებული ნორმალური ურთიერთობის ფონზე... ვაიძულოთ ხელისუფლება მოუსმინოს და ემსახუროს ხალხს! მამული საფრთხეშია! დრო არ ითმენს! ქულზე კაცი! დემერო იყოს ჩვენი მფარველი! **ბენია თხილაშა, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ჟურნალისტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე**

კონკრეტული ჯალალონის სიჭიჭიანი გიორგი სიჭინავას საიუბილეო საღამო

„ლო ვუჯინექ კირიბიშ შურიშ გოკურცხინაფას.“ (გიორგი სიჭინავას მეგრული პოეზიის მიხედვით)

მეგრული სიტყვიერი კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა სპეციფიკური სიბრძნით, მოძრავი, სხარტი აზროვნებითა და მოვლენებისადმი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიდგომით. დღეისათვის თავისი მნიშვნელობით მეგრული ფოლკლორის გვერდით დგას და შეიძლება მასზე აღმატებულადაც წარმოვიდგინოთ, თანამედროვე მეგრული პოეზია. ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ მეგრული ენა ლამისა გადაშენდეს, რადგან ის სალაპარაკო თუ სააზროვნო ფორმირებას დღითიდღე ჰკარგავს. ცნება მეგრული პოეზია, ასე ინდივიდუალურად და მყარად რომ გამოიყურება, ეს არის დამსახურება იმ მეგრულენოვანი პოეტებისა, რომლებიც ამ ენაზე ჰქმნიან საინტერესო მხატვრულ სახეებს და სიღრმისეულ ტექსტებს. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მეგრული პოეზია უკეთეს დღეში იმყოფება, ვიდრე თავად მეგრული ენა. ბოლოდროინდელი მეგრული პოეზიის გამოცოცხლება უკავშირდება დიდი პოეტის, სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული გიორგი სიჭინავას სახელს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მან სულზე მოუსწრო ჩასაქრობად გამზადებულ კოლხური სიტყვიერების სასეთელს.

გიორგი სიჭინავა ბუნებრივია, ცარიელ ნიადაგზე არ ქმნის თავის პოეტურ შედეგებს. ის ღრმად და საფუძვლიანად ეცნობა მსოფლიო აზროვნების მიღწევებს, მაგრამ განსაკუთრებით ითაყვინებოდა ძველ კოლხურ მითოსს, გადმოცემებს, თქმულებებს, რომელთაც ვადაამუშავებს და გვაძლევს დახვეწილ, ახალ პოეტურ ფორმას. ეს თვისება ხშირად ჩანს მის შემოქმედებაში, ის ვაჟასებური თავისთავადობით მიეახლება ამა თუ იმ თემას და იქიდან მხოლოდ მისეული ამოაქვს, ყველაფერს გიორგი სიჭინავასეულ ტვიფარს ადებს. მხატვრული ხერხებით, განუმეორებელი ღირებულებითა და ცხოვრებისეული, ფილოსოფიური-მისტიკური სიბრძნით გაჯერებულ ახალ მეტატექსტს გვთავაზობს.

პოეტისთვის ორგანული კოლხური წარსულის გაცოცხლება, მკვერწაყრილი ისტორიული ფაქტების თუ ლეგენდების რეალობაში შემოყვანა და დამკვიდრება, ოღონდ ეს თვითმიზანი კი არ არის, არამედ სისხლხორცეული, იმანენტური მოვლენაა.

გიორგი სიჭინავა უაღრესად ფართო დიაპაზონის, ღრმა ცხოვრებისეული განცდებისა და ფსიქოლოგიურად მიზანშეწონილი პასაჟების უბადლო ოსტატია. სრულიად ცალკე უნდა აღვნიშნოთ მისი მიმართება მეგრული ენისადმი. მშობლიურ ენის წილში დაუვანია პოეტის სულს. ბოლომდე ჩაუღწევია და იქიდან ამოუხიდავს ის საოცარი ენობრივი ენერგეტიკა, ცინცხალი ლინგვისტური პროსოდიები და პოეტური ინტონაციები, რითაც გვატყუებებს თავის მშვენიერ შემოქმედებაში. პოეტის ამ დახვეწილ მედიტაციებში იშვიათია მეტაფორა, სახე, რომელიც აზრისგან არ გამოდინარეობდეს, რომელიც მხოლოდ ეგვიპტისთვის, ბრწყინვალეებისთვის იყოს მოხმობილი და ხაზს უსვამდეს პოეტის

გარეგნულ სტილს მსოფლხედვის გარეშე. ასეთი რამ გიორგი სიჭინავას შემოქმედებაში სანთლით საძებნია. ნააზრვეი ემსახურება იდეას და პოეტურ სიმართლეს. მისი შემოქმედებისთვის არაა დამახასიათებელი სახეობრივი სისტემის რთული სტრუქტურა, პირიქით, პოეტი მუდამ სადა ფორმას და ნათელ სტილს ირჩევს. სიტყვა, ფიქრი, უაღრესად გამჭვირვალეა. მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია ფილოსოფიური ნააზრვეის მხატვრულ ესთეტიკური პერსონიფიცირება, რაც პირდაპირ ერწმის ნაციონალურ სკეფსისს, ან ამ სკეფსისიდან წარმოშობილ მუხტს, რომ წარსული დიდების დაბრუნება აუცილებელი და კანონზომიერი მოვლენაა, რადგან პოეტის აზრით, „წყარი გეჟენს ნაწყარუს, შარა ნაშარუს“ ეს ძველი კოლხური სიბრძნე, რომ წყალი თავის კალაპოტს დაუბრუნდება, ერთ-ერთი წარმართული თეზაა, არამარტო გიორგი სიჭინავასთვის, არამედ თითქმის, ყველა მეგრულენოვანი პოეტისთვის, თუცა გიორგი სიჭინავას წარმოსახვის მასშტაბები განუზომლად რეალურია და გლობალური.

მის შემოქმედებაში ასევე ჩანს, მძაფრი კრიტიკა საკუთარი მშობელი ხალხის უნიათობის გამო. ჩანს დიდ სიყვარულთან ერთად მოკრძალებაც მისი მშობლიური ენისადმი. წარსულის დამცრობის გამო ტკივილიანია მისი ყოველი ფრაზა, თითქოს ამ უძველეს, მითაქამინდელ სიტყვებში ჩაიკრულა კოლხთა მეფე აიეტის გულსტკივილი, ღაზთა მეფე გუბაზის უკანასკნელი ამოოხვრა. ამდენად, გიორგი სიჭინავას ფილოსოფიურ აზროვნებას უმთავრესად რამდენიმე ხაზი გაჰყვება. ესაა, ზოგადასაკაცობრიო ტკივილი, ექსისტენციალური სკეფსისი ქრისტიანულ აზროვნებას შენივთებული და ძველი წარმართული სიბრძნე, კოლხური მითოსის სინამდვილეში შემოყვანის მცდელობა, სიღრმისეულად გამოთავისუფლებული მეგრული იდიომების დედა აზრი, მათგან მომდინარე ახალი პოეტური ინტონაციები თუ

ბა და გამოწვლილვითი ანალიზი მიზანშეწონილია და უპრიანიც. მის პოეზიაში, ასეთ ერთ-ერთ შედეგად მესახება, ლექსი „ა ცონება“. მეგრულად ეს სიტყვა ნიშნავს – გაკვირვებას, გაშეშებას, გაოცებას. ამ სემანტიკური მოცემულობით ავტორმა მიგვანიშნა უმთავრეს რამეზე, რომ ისიც გაოცებულია, იმაზე, რაც ჩვენთვის საცნაური გახადა. ეს არის სამყაროსეული მოვლენების შეუცნობლობის იდეა, როდესაც ბუნებაში მიმდინარე პროცესებს არ აქვთ ლოგიკური ახსნა, რადგან რაციონალურად მათი გააზრება ადამიანურ ცნობიერებას არ ძალუქს:

„პოპორც მუ არხენც ჭყანას, წყარ ემე ეთმოწენცენი, გავლა ქარწყენო გვალას, ჭვემას ქუჩქუნო ჭვენცენი.“

ამ წარმოდგენილი ლექსის პირველივე სტროფშივე გატარებულია თეზა, რომ სამყარო აუცილებლობისა და კანონზომიერებების არეალია, თუმცა აქ თავად ბუნებისმიერ ატმოსფერულ მოვლენებამაც არ იციან, არ აქვთ გაცნობიერებული თვითონი მოქმედების არსი. „წვიმამ არ იცის, რომ ის ნამდივლად წვიმს“. ქმედება ფაქტობრივად ჰაერში გაკიდული დარჩა. ცოდნა უმეტრებამ შეცვალა, რადგან ვერაფერს ვერცხვით, საიდან მოდიხარ, და სად მიხვალ“. გაცხადება თვალთ ხილულია, მოვლენებში ჩანს, თუმცა თავად განმცხადებელს არ ესმის გაცხადების ინიციაციის აქტისა. ეს უაღრესად დრამატული და ფილოსოფიური მოცემულობაა, რითაც პოეტი ჩვენს წინაშე ვლინდება:

„რჩენა ქოძენო სოთინი, მითინც ქუჩქუნო მუთინი, მი მიწინც, სოლე მოფრთინი დო ვარა სო მურქუნი.“

და მაინც ამ ერთგვარი სამყაროში გამეფებული სრული „უმეტრებისა“, რომ ვერაფერს ახსნის თავისი ქმედების არსს და მის ემპირიულ მნიშვნელობას. მკითხველს სჯერა, რომ გიორგი სიჭინავა ამ ლექსში გულისხმობს „უძრავი

მშრალი დეკლამატური სტილი. ერთი კიცხადია, გიორგი სიჭინავა საკუთარ ოდაბადებულ თავგადასცემული პოეტიკა, მას აწუხებს ის რეალობა, რაც თავს დასტყდომია უძველეს კოლხთა ნაშეიერო. საკუთარი უუნარობის გამო და რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, კოლხურ თავისთავადობას ჯერ შეერყვნა, შემდეგში კი ნივთიერება ემუქრება. ამიტომაც ავუღიანებს პოეტი საკუთარ მშობელ ხალხს, რომ მან ქართულ ერთიან სივრცეში საკუთარი თავი შეინარჩუნოს იმ ფორმით, როგორც ის ოდითგან იყო. ამიტომაც გაისმის მისი პოეზიის ხმა ოდნავ მკვებელ თავის ერთ-ერთ შედეგში „შურობუმი“. ეს ლექსიც გამოირჩეულია მის პოეზიაში. გამორჩეულია იმდენად, რომ შეუძლებელია მისი სიტყვები დაგვაიწყოდეს:

„შურობუმიშ მინდორფეს შურიშ შარეფ გაფუ ნალი, მიქ მერკათ ფსუალეფი მურიცხებშა მაფურნალი.“

ეს არის საკუთარი ოდაბადისადმი მიძღვნილი ლექსი-მოწოდება, ლექსი-საყვედური, ლექსი-შეგონება. რადგან მან იცის რომ ჩვენ წარსული საამაყო გვექონდა. დღეს კი ჩვენი მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარა. ამიტომაც ეს ტრაგიზმი მუდმივად ტრიალებს გიორგი სიჭინავას პოეზიაში.

მის შემოქმედებაში ერთდროულად ჩანს სკეფსისი და სასოება. კოლხური ნაციონალური ნარატივი უმადლეს განზომილებას აღწევს:

„შოსისმარ გოთანაშე

მა სისმარეფ პელაზგური“ და იქვე „ინგირი დო ცხენწყარ შქას ქენიფხვილ დო ქელაბლური, ფსუაშ გოფანაშო მოკო, რინა მოკო პელაზგური“. ასე ერთმანეთს ენაცვლებიან განწყობილებები, მინორული და მაჟორული ნოტები. სათქმელი კიდევ უფრო მძაფრი ხდება „შურობუმის“ მეორე სტროფში:

„სქან ოცქვაფურ ისტორიას ხეჭკურელო მუკურექ, გოღანერი კოლხიშ სქუა ამდლა ჭიჭე ძუკო რქ.“

ეს გაცნობიერებული ტრაგიზმია, ეს საკუთარი თავის რეალისტური დანახვაა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ გრიმს, შეღამაზებას. ეს სამეგრელოს ხალხისა და ენის დღევანდელი გულისმომკველი სურათია. ასე იმიტომ იქცევა პოეტი, რომ მუდმივმა პანეგირიკულობამ ლეივარეულ ძილში გადაისროლა ჩვენი აწმყო.

„დოღურიდა, მუ გიწუა,

მეტის ვადრობანძლუაქ.

გოცქვენ გვალო ქუღარულ

ეგებ მოირთას ლანძლუაქ.“

ასე საუბარი მხოლოდ დიდ პოეტებს შეუძლიათ ისეთებს, რომელთაც მშობელი ხალხისთვის სამსხვერპლოზე ტარივად აქვთ მიტანილი თავიანთი მარად მშფოთვარე სული.

ჩემი ეს მოკლე წერილი თავად პოეტის სიტყვებით, ოპტიმისტურ ნოტზე მინდა დავამთავრო:

„ლო ვუჯინექ კირიბიშ შურიშ გოკურცხინაფას.“

ჯალალონი

გიორგი სიჭინავა — 75

სააზროვნო ღირკული პოსტულატები.

როდესაც პოეტის ღირსებებზე საუბარი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიკვეთოს მისი მსოფლხედველობა. პატრიოტული თემატიკის გაშლა და მასზე ტრიალი დიდ შემოქმედებას არ ახასიათებს, პოეტის უნივერსალობა სამყაროსეულ ახალ ხედვაში უნდა წარმოჩინდეს. ამ თვალსაზრისით, გიორგი სიჭინავა უაღრესად იმპერსონალური და ზოგადასაკაცობრიო მონაზროვნეა. ის არ არის მოქცეული მხოლოდ ნაციონალურ ნარატივ-ნააზრვეის ჩარჩოებში. მისი ხედვა მთლიანობაში სამყაროსეულია. ის ყველას ეკუთვნის, მსოფლიოს ნებისმიერ მოქალაქეს, ნებისმიერ წერტილში. ამ ფართო სივრცეული გაქანების გამო პოეტის შემოქმედება წარმოადგენს მეგრულენოვანი კულტურის, აზროვნების, ერთ-ერთ უიშვიათეს მაგალითს.

გიორგი სიჭინავას მრავალშრიანი, მრავალგანზომილებიანი შემოქმედებიდან ურთულესია, რომელიმე ლექსის გამოყოფა, მაგრამ რამდენიმე შედეგის ცალკე დაყენე-

მამოდრავების“ კონცეფციას, რომ ყველაფერი მისი კარნახით ხდება. თავად უძრავი იწვევს სხვათა მოძრაობას. ამიტომაც თუ წვიმამ არ იცის, რომ ის წვიმს, სამყაროსეულმა სუბსტანციამ იცის, ან სოლუტურმა გონმა იცის, თუ რატომ მოუვლინა სამყაროს წვიმა, ან რატომ მოვიდა ადამიანი და სად უნდა წავიდეს იგი. მარადიული კითხვების დასმით, გიორგი სიჭინავა თავად არის გაოცებული, მას კანონზომიერება აკვირვებს და ის ქაოსიც, რომელიც ერთი შეხედვით სამყაროში გამეფებულია, თუმცა ის რაციონალურის მიღმა იმყოფება და ტრანსცედენტულია. ჩემი აზრით, ეს ლექსი პოეტის ერთ-ერთი უძლიერეს ქმნილებაა, რომლითაც შეიძლება გიორგი სიჭინავას მადლად მსოფლხედვაზე და გამოჩენულ პოეტურ თვისებებზე ვისაუბროთ.

პოეტისთვის დრო-სივრცეული განზომილება, მასშტაბები ნაძალადევად არასდროს ვლინდება. არც რიტორიკული ცნებებით ატრელებულია მისი ნააზრვეი. არასდროს შეუქმნია ყალბი პათოსი და

ჩვენს მეგობარს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ „აიას“ უცვლელ რედაქტორს, რომანების – „გვირილების მინდორი“, „უთვისტომო“, ისტორიული რომან „უტუ მიქას“ ოთხტომეულის, ზანურენოვანი ლექსებისა და მოთხრობების კრებულ „ნანაგეს“, ლექსების კრებულ „ჩემი კუნძულის“ ავტორს, ბატონ გიორგი სიჭინავას ვულოცავთ დაბადების 75 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, სამშობლოს კეთილდღეობას, რომელიც ასე სტკივა მას.

ალექსანდრე ჰაჯია, ტარიელ ბაბნიძე, ირაკლი თოღუა, როლანდ ჯალალონი, ზურაბ კვარაცხელია, ზაურ ბახარია, ვიქტორ ტაბაძე, თინათინ კუპლაშვილი

ბრწყინვალე ქართველ პოეტს და პროზაიკოსს, მეგრული პოეზიისა და პროზის კლასიკოსს გიორგი სიჭინავას ამ დღეებში დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. როგორც ხუთი წლის წინ, როდესაც ბატონ გიორგის 70 წელი შეუსრულდა, ამჯერადაც სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ (ხელმძღვანელი ალექსანდრე ჰაჯია, კოორდინატორი ზაურ ბახარია) და ამ მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციამ (ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია) ზუგდიდში არტ-გალერეის (დირექტორი აბელ კალანდია) დარბაზში შესანიშნავი შეხვედრა მოუწვევს ღირსეულ პიროვნებას.

დარბაზში მყოფნი სამეგრელოს და აფხაზეთის წარმომადგენლები გულთბილად მიესალმნენ საყვარელ მწერალს, გიორგი სიჭინავა ხომ მთელი ცხოვრება სწორედ ამ „ორ ბატონს“ – სამეგრელოს და აფხაზეთის ემსახურება, ამიტომაც გამოთქვა თავისი გულისტკივილი ბატონმა

ზურაბ კვარაცხელიამ, რომ არც ადგილობრივ და არც აფხაზეთის ხელისუფლებას არანაირი დაინტერესება და ყურადღება არ გამოუჩენია გიორგი სიჭინავას მიმართ.

გიორგი სიჭინავა სხვა მრავალ დადებით თვისებებთან ერთად გამოირჩევა თავაზიანობით, თავმდაბლობით, ვერ ეშუება ქება-დიდებას, არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, ამიტომაც ამ შეხვედრაზე მასზე და მის შემოქმედებაზე მისმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა ილაპარაკეს. შეხვედრა მიჰყავდა ზურაბ კვარაცხელიას. იუბილარ პოეტ-პროზაიკოსს მიესალმნენ: ხალა ჯალალონია, ლაშა გვახალია, ედემ კვორტია, გური ოტგობაია, ედემ იზორია, სოსო თორია, გოგი შონია, თამარ კვარაცხელია, ელეონორა მეტონია – ძამამია, ვალერი გაბელია, შოთა წურწუშია, რამინ ახალაია, კოტე ნაჭყებია, პეტრე ნაჭყებია, მურად ჭანტურია, გია ხუბუა,

ვალერი ძამამია, ოთარ აძინბაია, თენგიზ ჯგუშია.

დონსიძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის (დირექტორი ნინელი ჭითანავა) ხალხურ საკრავთა ორკესტრმა „მაგშალიამ“ და ბიჭუნათა ანსამბლმა „მახარია“ (ხელმძღვანელები ქეთინო კილასონია და ნონა მაქაცარია), ხოლო სასახლის დეკლამატორებმა: ეკსო გაფრინდაშვილმა, გიორგი არდელიანმა, გიორგი გახარია და ირაკლი ნანავამ წაიკითხეს იუბილარის ლექსები.

გიორგი სიჭინავამ მადლობა გადაუხადა მისი ნიჭის თავყვანისმცემლებს, მოკრძალებულად ილაპარაკა თავის შემოქმედებაზე და დამსწრეთ ახლანაზ გამოსული მისი ლექსების კრებული „ჩემი კუნძული“ (გამომცემელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“) დაურიგა.

ლადო ძირია, სპეციალურად „ილორისთვის“



ახალი ქალაქი თბილისის ზღვაზე?

ბოლო დროს გახშირებულმა ლაპარაკმა „თბილისის ზღვის“ ათვისებასთან დაკავშირებით მიბიბა მკითხველის ყურადღება მივაპყრო უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელმაც შესაძლოა კარდინალურად შეცვალოს თბილისის იერსახე – გაუარესების თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ერთი თაობის მიერ განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პროექტები, შემდგომი თაობის ძალისხმევით, მიწასთან სწორდება „ხეშოთ“, ვიღაცის აკვირებული მოსაზრების შედეგად. იმ გრანდიოზულ მშენებლობათა შორის, რომლებიც გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების თაობის სხარტ გონებას და ოსტატურ მარჯვენას განეკუთვნება – არის „თბილისის ზღვის“ მშენებლობა.

იდეა ამ პროექტისა სტალინის სახელს უკავშირდება, რომელმაც არა მარტო გადახრეული ტერიტორიის მიწები ააყვავა, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დედაქალაქის კლიმატზე.

„თბილისის ზღვა“ მარტო მდინარე იორისთვის კალაპოტის შეცვლას არ გულისხმობდა. ყამირი მიწების მორწყვას, ათვისებას და ათვისებულ ტერიტორიებზე საბჭოთა მეურნეობების შექმნასაც გულისხმობდა და რაც მთავარია ქობილისის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას. შეიკრებოდა რეზერვუარი, აშენდა სარწყავი სისტემები, არხები და ერთ დროს ყამირი, მწირი მიწები ხეხილის ბაღებმა და ვაზმა დაამშვენა.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ **“თბილისის ზღვის”** წყლის სიკეთით გაფურჩქნული ვარკეთილისა და სამგორის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ხილს, ბოსტნეულს, ყურძენს აწვდიდა დედაქალაქს თითქმის მთელი წლის განმავლობაში.

ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობა, თავისი განვითარებული ინფრასტრუქტურით, უცხოელი სტუმრების დასათავაღიერებელი ობიექტების სიაში მოწინავე ადგილს იკავებდა. არაერთხელ მიმიყვანია იქ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია, მართლაც საინტერესო მეურნეობის სანახავად. მეურნეობა, თავისი ფეხბურთის და კალათბურთის მოედნებით, საცურაო აუზით, პოლიკლინიკით, სკოლით, კინოთეატრით, კულტურის სახლით და რაც მთავარია უკემრთიელესი ხილით, ბოსტნეულით, ღვინით უდავოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე.

სამგორისა და ვარკეთილის მეურნეობებმა სხვა თაობის კომუნისტების შემოტევის ვეღარ გაუძღეს და პოზიციების დათმობა დაიწყეს. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, ვიღაცის **“გენიალურმა აზრმა”** გადაწყვიტა ვარკეთილის და სამგორის მეურნეობების ტერიტორიებზე თბილისის ახალი საცხოვრებელი კვარტლების აშენება.

ასე და ამრიგად, ერთი თაობის კომუნისტების მარჯვენით გაშენებული საბჭოთა მეურნეობები განადგურდა. გაიხეხა ხეხილის ბაღები, აინება ვაზი და მათ ნაცვლად წამოიჭრა უსახური საცხოვრებელი სახლები – ერთფეროვანი, მდარედ ნაშენი. გაჩნდა ახალი დასახლება – **“ვარკეთილი”**, რამაც უდავოდ ხელი შეუწყო უბინაო თბილისელთა პრობლემების მოგვარებას. მაგრამ ნუთუ ძნელი იყო სხვა ადგილის – შიშველის, მწვანე საფარისგან დაცლილის გამოძებნა ბინათმშენებლობისთვის? ასეთი ხომ დღესაც იოლად მოიძებნება თბილისის შემოგარენში? მაგრამ არა – უფრო იოლი იყო ხელით ნაშენი მეურნეობების დანგრევა.

ეს სავალალო ისტორია იმიტომ გავისხენე, რომ დღესაც იგივე გრძელდება. გაუმაძღარი დეველოპერები არაფრად ადგებიან მწვანე ნარგავებს, ქუჩის სივრცეებს და ლამის სახლის-სახლზე მიშენებთ ცდილობენ საკუთარი მოჭრბებული მადის დაკმაყოფილებას. დეველოპერთა სურვილს საღ კლდეხავით უნდა შეხვდეს ქალაქის მერია, მაგრამ ვაგლას რომ ამას ადგილი არ აქვს – უთავობის, გამოუცდელობის, საკუთარი კუჭის დაკმაყოფილების გამო.

თვალის შეაღწეოთ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიას, ვაკის პარკის გაყოფისაზე, ირან-უკრაინის საელჩოების ზემოთ აშენებულ საცხოვრებელ სახლებს – გაიხილოთ, ხელით დარღული, ხეების ადგილას. მერედა, ვინ არის ამის მოქმედი – არც არავინ, ვინაიდან ისე, როგორც

წინათ, საბჭოთა ხანაში, დღესაც რაღაცის, ვიღაცის გეგმინია; დღესაც, ისე, როგორც წინათ, ვიღაცას ანგარიშს უწევთ, არ გვინდა რა წყენინოთ და აინუნშიც არ ვაგდებთ, რომ ჩვენივე თავშეაყვება სავალალო შედეგით უკანვე გვიბრუნდება.

“თბილისის ზღვაში” ბევრი რამ დაკარგა და როგორც ჩანს, ჩვენი “მოხერხებული” დეველოპერების წყალობით, საბოლოოდ თავსაც დაკარგავს, მასთან ერთად სასმელი წყლის პრობლემას შექმნის. დღენიადაგ ნაგებობებიან „თბილისის ზღვის“ ირგვლივ ახალი ქალაქის გაშენების შესახებ და რახან ნაგებობიან, განახორციელებენ კიდევ, ვინაიდან პროტესტი ერთობ სუსტი და უსუსურია, ისეთი – “ძალი ყვეს და ქარავანი მიდის”, რომ დაშვენდება.

ანალოგიური დამოკიდებულებაა „სამთავრობო ქალაქთან“ დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრმა თქვა და ვიღაცას ეგონა, რომ „უბრალოდ თქვა“, მაგრამ პრემიერი უბრალოდ ხომ არ იტყობა? ეს, რომ ასეა, წყალი არ გაუვა.

„თქმიდან“ მოყოლებული, მედია დაბეჭდვით ახმოვანებს ამ „გენიალურ პროექტს“ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ადამიანებთან ინტერვიუებში. ერთ-ერთი ახლახანს ვიხილეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 28 აპრილის ნომერში – ცნობილ არქიტექტორ გიგა ბათიაშვილთან.

აი, რას აცხადებს ბატონი გიგა: „რაც შეეხება დაანონსებულ განცხადებას სამთავრობო რაიონის შექმნის თაობაზე, დროულად და მნიშვნელოვნად მიმანია, თუმცა ორთაგან, ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტი არ არის“. უდავოდ მებადება კითხვა – ორთაგან საუკეთესო ვარიანტი არ არის, მაგრამ სხვა უბანი საუკეთესო ვარიანტი იქნება?

მიუხედავად ჩემი, ბატონი გიგასადმი პატივისცემისა, ვერ დავეთანხმები „სამთავრობო უბნის“ მშენებლობას. აღნიშნულის თაობაზე მე უკვე დავწერე, მაგრამ გაემიორებ – „სამთავრობო უბნის“ მშენებლობა დიდ სახელმწიფო ხარჯებთან არის დაკავშირებული, რის საშუალებაც ამ ქვეყნის ბიუჯეტს არ აქვს და როგორც ვხედავ, არც მომავალში ექნება. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებიდან გამომდინარე, „სამთავრობო უბნის“ მშენებლობის მთავარი მიზანი ის კი არ არის, რომ გაუმჯობესდეს ერთ ადგილას თავმოყრილი სამინისტროებისა და უწყებების ოპერატიული მუშაობა, არამედ ამ სამინისტროების მიერ დაკავებული შენობების გამონათავისუფლება.

მიზანი – უცხოელი ინვესტორისთვის მიყვება, ვითომდა სასტუმროებად გადასაკეთებლად. სამინისტროს ყოფილი რამდენი შენობა გააუბედურეს და ლამის დანგრევის პირას მიიყვანეს? მარტო კოსტავას ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი შენობა რად დირს?!

შენობის დაცლასა და ინვესტორის შოვნას შორის მრავალწლიანი ზღვარია, რისი აშკარა მაყურებლები ვართ თბილისელები. გარდა ამისა, „სამთავრობო უბანი“, მე მას უფრო გეტყვით დაგარქმევდი, რომელ ქვეყანაში ნახეს ამ იდეის ავტორებმა?!

არაერთ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ასეთი „საოცრება“ არსად მინახავს. იდეის თვალსაზრისით, საპარლამენტო უბნის მშენებლობის თემა გაუღერდა მოსკოვში, ხელისუფლების მიხედვით და მას საფუძვლად დუმიის წვერების ნორმალური მუშაობის პირობების შექმნის საფუძველი პოინდა დადებული და არა დუმიის არსებული შენობის სასტუმროდ გადაკეთება. მოსკოვის ცენტრთან, გვარამი მანძილზე დაშორებით უნდა აშენებულიყო საპარლამენტო ქალაქი და არა სამთავრობო, თავისი სასტუმროებით, რეკრეაციული ზონებით, სპორტული კომპლექსებით.

საპარლამენტო ქალაქი უნიკალური არქიტექტურული კომპლექსი უნდა ყოფილიყო და არა ფარდალა შენობების ნაკრები, რის გაკეთებასაც თბილისში აპირებენ, ვინაიდან პარლამენტის შენობა სხვა ქვეყნის, ისევე, როგორც ნებისმიერი სამინისტროს შენობა. პროექტი ვერ განხორციელდა უფულობის გამო.

ვაშინგტონის სტუმრებს ხიბლავთ კაპიტოლიუმის, სამინისტროების ფუნდამენტური, სოლიდური შენობები. ასეა რომში, ბერლინში, სხვა დედაქალაქებში. გარდა ამისა, წინასწარ, ვინ განსაზღვრავს, რა სახის სამინისტრო უნდა იყოს? გასული საუკუნის დასაწყისში, ვის მოუვიდოდა

თავში „შერიგების“ სამინისტროს შექმნის იდეა?

ბატონი გიგა აცხადებს, რომ „იქ უცხო ქვეყნების საელჩოებიც უნდა გაშენდეს“. კეთილი, მაგრამ საქართველოს ბიუჯეტმა უნდა ააშენოს უცხო ქვეყნების საელჩოები?

დღევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარე, მხოლოდ სამმა ქვეყანამ – აშშ-ს, ირანმა და უკრაინამ, ააშენეს საელჩოები თბილისში. საქართველოში აკრედიტებული ქვეყნების საელჩოები, საკუთარი ქვეყნის ბიუჯეტიდან გამომდინარე, აშენებული შენობების გარკვეულ ფართობზე განთავსებული, ზოგი სად და ზოგიც სად. მათ ერთ ადგილზე თავმოყრას ვერავინ დააგალებს, ისე, როგორც აშენებულ შენობაში შესვლას – საელჩოს მოთხოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე. საელჩოს გარდა, მხედველობაშია მისაღები ელჩის რეზიდენციაც – ანუ ცალკე შენობა. ასე, რომ, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვეჭვობ „სამთავრობო უბნის“ ტერიტორიაში დააკმაყოფილოს დიპლომატიის მოთხოვნები.

„დედაქალაქის განვითარების ყველაზე საუკეთესო ადგილია თბილისის ზღვის გადაღმა ნაპირი. ამ ადგილის მიზანმიმართულობა ისიცაა, რომ თბილისის ზღვა ქალაქის ცენტრში მოექცევა“, – წერს ბატონი გიგა.

აგაშენა დემრთმა – ისევე არსებულის განადგურება?!

თუ ამას მართლაც ექნა ადგილი, მალე აღარც ზღვა იქნება და აღარც თბილისელთა დასვენების ადგილი, რომელიც ესოდენ საჭიროა ქალაქისთვის და მრავალი წლის განმავლობაში ისე ვერ განვითარდა, როგორც სახელისუფლო დაპირებები იყო.

დარწმუნებული ვარ, ზღვის ირგვლივ დაწყებული მშენებლობები მიწასთან გაასწორებს იმ მცირედ დაკეთებულს – რეკრეაციასთან დაკავშირებით და სამშენებლო მასალების ნაგავად გადააქცევს ზღვის ტერიტორიას, დააბინძურებს სასმელ წყალს, ხოლო მშენებლობების დამთავრების შემდეგ, თუკი ამას ოდესღაც ექნა ადგილი, საყოველთაოდ ნაგვის მასა წალეკავს მას.

და კიდევ ერთი რამ – ვისთვის ვაშენებთ ახალ ქალაქს?

გაეროს მონაცემებით, საქართველოს უსურსულები დემოგრაფიული პრობლემები აქვს. მისი მიხედვით, საქართველოში დარჩენილი მოსახლეობა, უკვე განახევრებული, კიდევ უფრო შემცირდება, ვინაიდან ჯანდობის ხავსე ქალ-ვაჟები, ისე, როგორც განვლილი 20 წლის განმავლობაში, უცხო სახელმწიფოებს მიაკითხავენ სამუშაოს მოსაძებნად. ქვეყანას, რომელსაც დასაქმების პრობლემის მცირედი ნაწილიც არ აქვს შესრულებული, შეძლებს საკუთარი მოსახლეობის სამშობლოში დაკავებას?

განვლილი 20 წელიწადი გვიკარნახებს, რომ ვერ შეძლებს! მაშ, ვისთვის უნდა აშენდეს „თბილისის ზღვის“ ქალაქი?

პასუხი მარტივია – იმ ბოიბლა ფულიანებისთვის, რომლებსაც უკვე არაერთი სახლი, ბინა, ავარაკი აქვთ პირად მფლობელობაში და „თბილისის ზღვისასაც“ დაუმტებენ. „ოჯახი ხრამია“ – რომ იტყვიან, ვინ იცის, როდის გამოადგებათ. ასეთთა რაოდენობა ერთ პროცენტსაც არ სცდება. დანარჩენებს იქ აშენებულ ბინებზე ან სახლებზე ხელი არ მიუწვდებათ. აი, იმ უდიდესმა უმრავლესობამ უნდა სვას, ერთი პროცენტის მიერ დაბინძურებული „თბილისის ზღვის“ წყალი?

თბილისი გიზარდა და ვეღარ იტყვის მოსახლეობას, ტრანსპორტს და ამისთვისაა საჭირო ახალი ქალაქის აშენება?

რა პრიმიტიული დასკვნაა! თუ დემოგრაფიას მოვიშველიებთ – საქართველოს მოსახლეობის შემცირებასთან ერთად, შემცირდება დედაქალაქის მოსახლეობაც. ნაცვლად ამ ყოველდ მახინჯი იდეის განხორციელებაში ფულის ხარჯვისა, უმჯობესი იქნებოდა დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად ჩავეყოფოთ თანხები, თორემ ძველი და ახალი ქალაქები მოგონებად დავტყობნებ. ამ ორივეში ფულიანი მეზობლები იცხოვრებენ. ისინი გახდებიან ბატონ-პატრონი და არა თბილისელები.

გარდა ამისა, საჭიროა სხვა ქალაქების ინფრასტრუქტურის განვითარება, ფაბრიკ-ქარხნების აშენება, რათა იმ ქალაქების მაცხოვრებლებმა არც თბილისში და არც საზღვარგარეთ არ ეძებონ სამუშაო ადგილები.

ამ შემთხვევაში არ უნდა მივმართოთ ხელოვნურობას, ისეთს, რასაც ადგილი აქვს დღეს – ქუთაისის საპარლამენტო ქალაქად გადაკეთება. სააკაშვილს, როდესაც პარლამენტი ქუთაისში გადაქონდა, წამითაც არ უფიქრია ქუთაისის განვითარებაზე. ამ იდეის მიზანი იყო მარტივი – თბილისის პარლამენტის შენობის წინ მიტინგების აღკვეთა. სააკაშვილის ბოროტმა გადაწყვეტილებამ მილიონობით ღარიბი ზარალი მიაყენა ქვეყნის ბიუჯეტს. შეაფერხა აუცილებელი კონტაქტები საკანონმდებლო-ადმინისტრაციულ ხელისუფლებათა შორის.

ახლახანს ინტერნეტში თვალი მოვკარი ერთ-ერთ ასეთ პროექტს – თბილისის ზღვაში ფალოსივით შეჭრილს, ორი ტესტიკულით და თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. პროექტმა რაღაცით არაბული სამირობები გამახსენა. იქ ხომ მოდამია ზღვაში მიწის და ქვების ნაყრა, ხელოვნური ნახევარკუნძულების, კუნძულების შექმნა და საცხოვრებელი ვილების აშენება – მაგრამ ნამდვილ ზღვაში, რომელიც ამას იტანს და არა ხელოვნურ რეზერვუარში, თანაც სასმელი წყლის ფუნქციასაც რომ ასრულებს.

სამშენებლო ვოლუნტარიზმი გაგრძელდება და მას ვერც ქალაქის გენგეგმა შეაჩერებს, ვერც თითო-ორილა ვულმოკლეობა ადამიანის მოწოდება. ფული წყვეტს ყველაფერს – პროექტის დამტკიცებასაც, მშენებლობასაც და აშენებულის სარფიანად გაყიდვასაც. თბილისის განვითარების გენგეგმაც რომ იყოს, ვითომ ვერ მიადწევნე საწადელს მადამოსული ინვესტორები, დეველოპერები, მერიის მესვეურები?

ქვეყნის დედა კანონს – კონსტიტუციას თუ უძებნიან „ხარვეზებს“, გენგეგმას ვერ მოუძებნიან? ანდა განა ნორმალურად მოაზროვნე დეველოპერს თავში ახრად უნდა მოსდომოდეს პარკებში, სკერებში, თბილისის ზღვაზე მშენებლობის გაშლა? სიტყვით, ყველა ისინი პარტიოტები არიან, საქმით კი – დედაქალაქისა და ქვეყნის მტრები.

პარპაშობენ ისინი, ვინაიდან ნორმალურად მოაზროვნენ თაყიანთ გულსტკივილს ოჯახის წევრებს თუ გაუზიარებენ, თანაც სამზარეულოში. საპროტესტო აქციას რომ თავი დავანებოთ, ვინაიდან ქალაქის უმსგავსო მშენებლობებისთვის თავს არავინ შეიწუხებს, არც ხმას იღებენ და თუ იღებენ, გუნდრუკს უქმევენ ყოველივე საშინელებას. არადა იმ ევროკავშირში, საითაც ვითომ მივდივართ, ვინმე გაბედავს მსგავს თანეობას?

გერმანიის ქალაქ შტუტგარტის მერიამ გადაწყვიტა რკინიგზის ისტორიული სადურის აღება და მის ნაცვლად თანამედროვე შენობის აშენება. შტუტგარტლებმა იხუფლეს და ისეთი პერმანენტული მიტინგები მოაწვევეს, მერია იძულებული გახდა პროექტზე უარი ეთქვა. აქ კი რა ხდება?

სოლოლაკში, ტაბიბის ქუჩის დასაწყისში, საკრებულოს უკან, იმ ვიწრო სივრცისთვის უდავოდ შეუფერებელი აგურის შენობა აშენდა მე-19 საუკუნის უნიკალური შენობა-ნაგებობების გვერდში. მისიგან მოშორებით, ერთ დროს ენერგეტიკის სამინისტროს შენობის ადგილას კი თანამედროვე შენობა – აშკარად ამოვარდნილი ძველი ლანდშაფტიდან. ვინმემ ამოიღო ხმა? არც არავინ!

ვინმემ ამოიღო ხმა სააკაშვილის მიერ ძველ ქალაქში აშენებული უფუნქციო და შეუფერებელი ნაგებობების გამო? არც არავინ!

ზოგი მეტიწარა იმასაც ამბობს, თავის დროზე, როდესაც პრეზიდენტმა მიტერანმა ახალი თანამედროვე ქალაქი „დეფანსი“ ააშენა პარიზელები უკმაყოფილები იყვნენ, მაგრამ დღეს, „დეფანსი“ ორგანულად არის შერწყმული ძველ პარიზთან. გეთანხმებით, მაგრამ „დეფანსი“ მოშორებით აშენდა და არა მონმარტრზე, პიგალზე, პარიზის ცენტრში. გაშლილმა სივრცემ შთანთქა ის.

პლენანოვის, რუსთაველის, სოლოლაკის, თბილისის ზღვის დაკარგვის შემთხვევაში დაკვარავთ თბილისის ისტორიას, მის სულს და ყოველივე იმას, რაც ამ ქალაქის თავისებურება უკავშირდება, ყველას რომ იზიდავს და მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჭ. ჰამლეტიძე,
პოლიტოლოგი

როსა საქართველოში ჩავალი, ხალხმა იმოდან სიკვამილე და სიბრძნე დაიწყო და სიბრძნე დაიწყო



საქართველოს ექს-პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინული ტელეკომპანია Чернівецький Промінь-ის ეთერში საქართველოში მისი მთავრობის მიერ განხორციელებულ ცვლილებებზე და უკრაინაში დაგეგმილ და განსახორციელებელ რეფორმებზე ისაუბრა.

“როცა მე საქართველოს პრეზიდენტი გახდი, ქვეყანას ჰყავდა 100 000 ვიზიტორი, ტურისტები კი არა. როცა მე დავასრულე ჩემი ვადა, ქვეყანას ჰყავდა 6 მილიონი ტურისტი. როგორ გაგაკეთეთ ეს? ჩვენ ვხატავდით ქაღალტებს, ვიგონებდით მათ, ისინი არ იყო და ვიგონებდით. მაგალითად, ბათუმი მე პირადად დავხატე და მოვიგონე – რაღაც ვაღიარებდი, რაღაც ბარსელონიდან, რაღაც ნიციდან და ნიუ-იორკიდან. ავიღეთ ელემენტები და ის ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი უღამაზესი ქალაქია...”

“უკრაინელები ქართველებზე მეტად შრომისმოყვარეები და კანონმორჩილები არიან, უფრო გახსნილები რეფორმებისთვის ვიდრე ქართველები იყვნენ მაშინ, როცა ვიწვევდით. ახლა ქართველებმაც ისწავლეს, პოსტსაბჭოთა თაობა შეიცვალა, გაიზარდა. როცა მე საქართველოში ჩავდი, ეს იყო კარიკატურული ქვეყანა, სადაც

ხალხი დადიოდა უღვაშებით, აეროდრომი-ქუდებით, იცოდნენ ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოების თქმა და მეტი არაფერი შეეძლოთ. ახლა, საქართველო არის მაღალტექნოლოგიური ქვეყანა, ქვეყანა სადაც სრულიად არაჩვეულებრივი ახალგაზრდობა ცხოვრობს, სადაც უამრავი საინტერესო ინიციატივა იბადება ეკონომიკის სფეროში, ქვეყანა, რომელიც ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულია, მაშინ როცა ახლა უკრაინა ევროპაში ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა.

ასე რომ, უკრაინელი ხალხი უფრო მეტად არის მზად რეფორმებისთვის, ვიდრე ჩვენ ვიყავით. ერთადერთი პრობლემა არის მთავრობა, რომელიც ახლა ყავს უკრაინას. ჩვენ ახლა ხელისუფლება არ გვყავს. პორტმენკო დაკავებულია ტელეკომპანიების კონტროლით, ვიდრელოდენ პატარა ტელეკომპანიებს, ზუსტად იანუკოვიჩის მსგავსად. მე უკვე აღარ მაჩვენებენ არც ერთ ცენტრალურ არხზე. ქვეყანას ახლა ავტორიტეტს კრიზისი და არა ხელისუფლება. აქ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური კლასი, რადგან ძველი პოლიტიკური კლასი ვერ გაატარებს რეფორმებს. “ბარიერები” ვერ შექმნიან თანამედროვე სახელმწიფოს. რა გავაკეთებ ჩვენ საქართველოში? შევქმენით სახელმწიფოებრიობა. აი, ეს სჭირდება უკრაინას” – აღნიშნა სააკაშვილმა საუბრისას.

“ილოროს” კომენტარი – ამ არამზადის აზრს რომ გაეცნობი, ოდნავი ეჭვიც არ გრჩება ადამიანს იმაზე, რომ სააკაშვილი არის ქართველთაგან ყველაზე დაშინებული და უკეთესი, რომელიც უკვე ზიზღს ვეღარ უჭერს თავს. არ გამოფრთხილავ, რომ მას ბავშვობიდან არაფერი სინდრომი აწუხებდეს დღესაც და ის ასოციაციები უძღვრებდეს გონებას, როცა დედამის გიულიის ღამლამობით “უღვაშები და აეროდრომისქუდიანი” ქურთები, მოგვიანებით კი იგივე კონფორმურობის თურქები სტუმრობდნენ და მთელი დამე დროს ატარებდნენ მასთან. ის თუ მიაჩნია სააკაშვილს ქვეყნის პროგრესად როცა სკოტრით სკამზე მიჯდებულ მამაკაცს

კასტილიანი არამზადება აუპატიურებდა 30 ლარად, ან მისი მითითებით ჩადენილი ამაზრზენი მკვლევლები თუ უკანანანში ცოცხეარული პატიმრები, ასეთი “სიამოვნება” არ მოქალაქედებს მის ცოლ-შვილს და მის ყველა გულშემატკივარს! რა იცის ამ მართლაც ბიოლოგიურმა და პოლიტიკურმა ნაბიჯებმა, რითი სულდგმულობდა “გეგმისტყვისისა” და ავთორიტეტის შემოქმედი საქართველო საუკუნეების განმავლობაში, როცა მისმა თანამემამულეებმა ზურგი აქციეს ქრისტიანულ სარწმუნოებას და მტრად გადაეკიდნენ საქართველოს. დიას, ეს არამზადები დღესაც მტრობენ იმ საქართველოს, რომელიც ძნელადობის ჟამს შეიფარა თურქეთთან სიკვდილს გამოქცეული სომხები, დაახახხა ისინი ჯავახეთში, გაუჩინა სარწმუნოებები, ეს უღელურები კი დღეს ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი სომხეთის ძირძველი ტერიტორიაა. ასევე არაადამიანურად მოიტყვეს ეს არამზადები აფხაზეთში, საიდანაც აფხაზთა მოძვე ქართველები იარაღით გამოყარეს, ახლა კი აფხაზეთში სომხური კულტურული ავტონომიის მოთხოვნას ბედავენ.

აი, ასეთი გარეკული და უტიფარი ხორცმეტი მისხედი სააკაშვილი და ჩვენ ჰქმნართად გვეცოდება ყველა ის ქართველი, ვინც ჯერ კიდევ მხარს უჭერს საქართველოს დამატყვევარ ნაციონალებს და მათ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე ოცნებობენ. უკანმოსვლაზე არაფერი გეტყობთ, თქვე საცოდავო ნაცებო და ნაცთა მომხრეებო! მაგრამ, თუ უფრო სერიოზულად შევხედავთ ამ საქმეს, უპირანი იქნება დავიმოწმით ჟურნალისტი ნუგზარ ფოფხაძე: “არასოდეს, ხალხის არჩეულ არცერთ პრეზიდენტზე საჯაროდ აუვი არ მიტყვამს. ეს შემთხვევა გამონაკლისი იქნება: მხოლოდ კარიკატურულობაზე, უღვაშებზე, ცეკვა-თამაშა და სადღეგრძელოებზე. ბოლდა თუ მართლაც მას ეკუთვნის, გადაუდებლად სამკურნალოა!!! არადა, აქამდე მაინც ნიჭიერ ადამიანად ვიცნობდი. სასწრაფოდ, ექიმთან!!!” იმდენად არაკაცური და ამაზრზენია

საკაშვილის საქციელი, რომ აღშფოთებას ვერ მალავს თვით თამარ ჩერგოლევიშვილიც კი, გიგა ბოკერიას მეუღლე, ერთ დროს თავად გამოუსწორებელი ნაციონალი და სააკაშვილის ყველა ხუშტურის “გამპრავებელი”:

“ძლივს რაღაც სასიხარულო რომ მოხდება – ვიხალბებრალიზაციას ვგულისხმობ – რატომ უნდა მოგინდეს party pooper-ობა, გაუგებარია.

რატომ საუბრობს სხვის ქედმაღლობაზე მაშინ, როდესაც თავად, მთელ ერს კარიკატურას უწოდებ, ერს რომლის 95%-მაც ერთ დროს შენ ავირჩია, გაუგებარია როგორც მორალურად, ისე პრაგმატულად. გაუგებარია, რატომ ანთხვეთ ბოლმას საკუთარ თანამემამულეებზე. გაუგებარია, რატომ აყენებთ შეურაცხყოფას თანამოქალაქეებს, რატომ წარმოაჩენთ მათ ქურდობაცაცებად.

გაუგებარია, რატომ ამტკიცებთ, რომ ევროპელების ამ ნაბიჯით ქართველები ბოროტად ისარგებლებენ. გაუგებარია, რატომ აზოგადებთ მთელ ერზე იმ დანაშაულის, რასაც კონკრეტული ადამიანები სწადიოდნენ, სწადიან და კვლავაც ჩაიღვენენ.

ასევე გაუგებარია, რატომ საუბრობს სხვის ქედმაღლობაზე მაშინ, როდესაც თავად, მთელ ერს კარიკატურას უწოდებ?

ასევე გაუგებარია, რატომ უნდა ანთხო მსხამი, იმის ნაცვლად, რომ გადაწვე და დატყებ იმით, რომ შენმა შრომამ შედეგი მოიტანა – მერე რა, რომ ოპონენტი გიხტება წილში (თუნდაც დაუმსახურებლად), რა გამოდის? ასე ხომ იწვები, რომ ყველაფერს არა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ საკუთარი თავისთვის პოლიტიკური ქულების დასაწერად აკეთებდი?

ზნეობას რომ თავი დავანებოთ და თუნდაც ცინიკურად მივუდგეთ, თვითკონტროლი როგორ უნდა მოგეშალოს ისე, რომ იმასაც ვერ მიხედვ – მთლიანად აცდენილი რომ ხარ ხალხის განწყობას? საიდან ამდენი უკონტროლო გესლი?”

როგორ გადადიოდა რუსთავი-2 ხელიდან-ხელში: ბელაჟიჩის მფლობელების დავებისა და ბარჩავეზის ქრონიკა



უზენაესმა სასამართლომ “რუსთავი-2” ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნა.

ვინ იყვნენ ტელევიზიის პირველი მფლობელები, როდის დაიწყო პირველი დავა ტელევიზიის საკუთრებისთვის და როგორ და რა პოლიტიკური ინტერესებით გადადიოდა ქვეყანაში გავლენიანი სატელევიზიო არხი ხელიდან-ხელში, – ამ საკითხთან დაკავშირებით “ფეისბუქის” ერთ-ერთ საჯარო დისკუსიაში პოლიტიკოსი დავით ზურაბიშვილი ვრცელ პოსტს აქვეყნებს.

“ადრე, 90-იანების შუახანებში, ამ ტელევიზიის გამო ჯერ ეროსის, აქიმიძეს და დვალს ჰქონდა დავა ფიქრია ჩხრაძესა და ნიკო ნიკოლოზიშვილთან. ამის გამო ერთი წლით შეჩერებულიც იყო “რუსთავი-2”-ის მაუწყებლობა. თუმცა, მაშინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ რეალურად, საკუთრებისთვის დავა იყო მხოლოდ საბაბი და შეუარდნადის ხელისუფლება ებრძოდა დამოუკიდებელ მედიას. მონაწილეობდა

იღვობაც მაქვს მიღებული ტელეკომპანიის დაცვის მიზნით მოწოდებულ აქციებში. ვაკის პარკში როკონცერტიც კი გაიმართა “რუსთავი 2”-ის მხარდასაჭერად, რომელიც რატომღაც დილანის Knockin on Heaven’s Door-ის გუნდური შესრულებით დასრულდა. მახსოვს ვხუმრობდი კიდევ, რა იყო, გამოვიტოვებ უკვე თუ რაშია საქმე-თქო.

ერთი წელი გაგრძელდა ეს დავა და ბოლოს ეროსიმ და კომპანიამ გაიმარჯვა. ეს გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას სერიოზულმა მხარდაჭერამ.

ამის შემდეგ, ეროსიმ ნელ-ნელა დაიწყო პარტნიორების ჩამოცილება და ჯერ ჯარჯი აქიმიძე მოტეხა, მერე დვალცი (მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივ) და ფაქტობრივად ერთპიროვნულ მფლობელად იქცა.

პარლანს რეპორაჟი უნდა ჩაითვალოს, რომ ყველაზე კომპლარული ბელაჟიჩის ფლობა ეროსის პოლიტიკურ ანგონიანს ნაეზნავად ზრდის და დაიწყო მასთან პაჭრობა ბელაჟიჩის გაყიდვაზე. საბოლოო ჯამში ეროსიმ ქიბარ ხალვაშს (ანუ ოქრუ-აშვილს, ანუ ხელისუფლებას) კი გაემრიელ ფასად დაუთმო ბელაჟიჩი და კლუს კილავ ნავთობის სარკინიგზო ტრანზიტის ნიღბის ჩაჯდა.

ოქრუაშვილის გაოპოზიციონერების შემდეგ, ეს ტელევიზია, მას მართლაც საბაბელო იარაღივით დაატოვებინეს და

ქიბარ ხალვაშის წილი აღარ მახსოვს ახლა ვის გადაეცა, მაგრამ ასევე გადაეცა ოფიციალურად. ხალვაშმა ტელევიზიის გაყიდვის საფასურიც მიიღო და ერთხანს აგრძელებდა საქართველოში ბიზნესსაქმიანობას, სანამ ოქრუაშვილი მთლად არ გარდაიკადა.

ამის მერე ტელეკომპანიის წილები კიდევ გადაფორმ-გადმოფორმდა და თუ არ ვცდები არაერთხელ.

მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ ეს ყველაფერი არის რიგა ბაზარი. აქიმიძეს და დვალს არაფერი ხელნახატი არა აქვთ. ისევე როგორც ხალვაშს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იურიდიულად და ფაქტობრივადაც ეს გადაფორმება-გადმოფორმებები ხდებოდა გარიგების მექანიზმით და ვინც წილს თმობდა, რაღაცას სანაცვლოდაც დებულობდა. ცხადია, აქ ხელისუფლების ინტერესიც იყო (“ც” კი არა პირველ რიგში სწორედ ეს იყო), ოღონდ ზეწოლის დამტკიცება დღეს, სამართლებრივი დოკუმენტებით და მოწვეთა ჩვენებების საფუძველზე შეუძლებელი იქნება.

რაც მთავარია აქიმიძეს და დვალს ადრეც ჰქონდათ მცდელობა, მაგრამ სწორედ მტკიცებულებათა სიმწირის გამო განერდნენ.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მთელი ეს დავა არის იმთავითვე წაგებული თამაში. ქიბარ ხალვაშს კი, ან იმას, ვინც ქიბარს ჩივილი ურჩია, ტელეკომპანიამ პრემია უნდა გამოუწეროს ნაცემობის რეკლამირებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, – წერს დავით ზურაბიშვილი “ფეისბუქზე”.

აი, რა წერია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი კოლეგიის გადაწყვეტილებაში:

ტელეკომპანია “რუსთავი 2” უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვეყნებს. გადაწყვეტილების მიხედვით, შპს სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2”-ის 60% წილის მესაკუთრედ ცნობილია ქიბარ ხალვაშის

და 40%-ის წილის მესაკუთრედ ცნობილია შპს “პანორამა”.

– ლევან ყარამანაშვილის, გიორგი ყარამანაშვილის, შპს ტელეკომპანია საქართველოს, ნინო ნიჟარაძის, შპს “მაილდ-ბერგცემენტ ჯორჯიას” საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

– გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

– ქიბარ ხალვაშისა და შპს პანორამას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

– გაუქმდეს შპს სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2”-ის პარტნიორების: ლევან ყარამანაშვილის 22%-ის, გიორგი ყარამანაშვილის 18%-ის, შპს ტელეკომპანია საქართველოს 51%-ის და ნინო ნიჟარაძის 9%-ის წილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის 60% წილის მესაკუთრედ ცნობილი იქნებ ქიბარ ხალვაშის და 40%-ის წილის მესაკუთრედ ცნობილი იქნეს შპს “პანორამა”.

– უცვლელად დარჩეს წინამდებარე გადაწყვეტილების შესაგალ ნაწილში მითითებული სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები: მოპასუხეებს შპს ტელეკომპანია საქართველოს, გიორგი ყარამანაშვილს, ლევან ყარამანაშვილს და ნინო ნიჟარაძეს, ქიბარ ხალვაშსა და შპს “პანორამას” სასარგებლოდ, სოლიდარულად, დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის სახით 5000 ლარის ანაზღაურება;

– საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რედაქციის კომენტარი – გაზეთის შემდეგ ნომერში გამოვალქვეყნებთ წერილს “რუსთავი-2”-ის საქმის სტრასბურგის სასამართლოს მიერ ხელმოწერად დამუხრუჭებაზე და ამ საქმეში მოსამართლე ნონა წოწორიას როლზე.



ქართული მწერლები და პოეტები, რომლებიც ვი წააგდა ასაკისანი ღაიფუანანი

ქართულ ლიტერატურას ბევრი ღირსეული პოეტი და მწერალი ჰყავს, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით დამკვიდრეს თავისი ადგილი ქართულ მწერლობაში. მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებმაც ეს დამსახურებული ადგილი და სახელი ადრეულ ასაკში მოიხვეჭეს და ტრადიციული ბედის გამო ცხოვრება ადრევე დატოვეს, - თითოეულმა 30 წელიც ვერ იცოცხლა, სამაგიეროდ, დაგვიტოვეს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

რომანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი გაღარბებული არისტოკრატის, მელიტონ ბარათაშვილის ოჯახში 1817 წელს დაიბადა.



დედა - ეფემია, გრიგოლ ორბელიანის და ერეკლე II-ის შვილიშვილი გახლდათ. თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში ნიკოლოზის მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი იყო, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა მასზე. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ბარათაშვილი უმაღლესი განათლების მიღებაზე ამაოდ ოცნებობდა, რადგანაც უსახსრობის გამო ამას ვერ მიაღწია. ხეიბრობის მიზეზით (გიმნაზიაში სწავლისას ფეხი კიბეზე დაცემით დაიშავა) კი პოეტის განზრახვა მოქმედ არმიაში ემსახურა, განუხორციელებელი დარჩა. ბარათაშვილის ყველა გეგმას, ყველაფერთან ერთად, ხელს უშლიდა მამის ოჯახის სრული გადატაცების საფრთხეც. ამიტომ პოეტი იძულებული გახდა, კანცელარიის რეგითი მოხელის

ადგილს დასჯერებოდა. მის მწვევე უკმაყოფილებას თან დაერთო პირადი დრამაც (გაუზიარებელი სიყვარული ეკატერინე ჭავჭავაძისადმი).

მოგვიანებით ნახიქვანში მახრის მმართველის თანაშემწედ დაინიშნა, ხოლო 1845 ივნისს იმავე თანამდებობაზე განჯაში, სადაც ოთხი თვის შემდეგ, 27 წლისა, მალარიით მიიმედ დაავადებული დაიღუპა. ბარათაშვილის გადმოსვენებამ 1893 წელს განჯიდან თბილისში (დიდუბის პანთეონი) ეროვნული მანიფესტაციას გავდა. 1938 წლიდან პოეტის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში განისვენებს.

აურამ რჩეულიშვილი

მწერალი გურამ რჩეულიშვილი დაიბადა 1934 წლის 4 ივლისს თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა ისტორიის ფაკულტეტზე უნივერსიტეტში განაგრძო. პირველი მოთხრობები, რომლებმაც წარ-



მატება მოუტანა, ჟურნალ "ცისკარში" გამოაქვეყნა.

მწერლის სიცოცხლეში მხოლოდ შვიდი მოთხრობა გამოქვეყნდა. მოთხრობების პირველმა კრებულმა („სალამურა“) დღის სინათლე უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ ნახა. რჩეულიშვილის პროზამ თავიდანვე მიიპყრო ყურადღება. მისი ნამუშევრები - ნოველები, მინიატურები, პიესა თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ლიტვურ, ჩეხურ, რუსულ ენებზე. მწერალს შესანიშნავი წიგნები უძღვნა მეგობარმა ნუგზარ წერეთელმა:

“მე ახლაც ოცდაექვსი წლის ვარ” და “აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ”. მისი სცენარებით გადაღებულია ფილმები - “ალავერდობა”, “უსახელო უფლისციხელი”. რჩეულიშვილი თავის თაობაში გამორჩეული იყო ცხოვრებისეული და მწერლური სტილით, მუდამ განსაცდელს ეჭიდებოდა, თითქოს ეძებდა კიდევ და შეეწირა კიდევ სხვისი სიცოცხლის გადარჩენას. 26 წლის იყო, როდესაც გაგრაში 1960 წლის 23 აგვისტოს ტრაგიკულად დაიღუპა, - მღვღვარე ზღვაში უცნობი რუსი ქალიშვილის გადასარჩენად გადაეშვა.

დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

ლადო ასათიანი

პოეტი ლადო ასათიანი დაიბადა 1917 წელს ქუთაისში, პედაგოგების ოჯახში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელ ბარდნალაში მიიღო. წარმატებით დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, შემდეგ კი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტიც გახდა. 1939 წელს ტუბერკულოზით დაავადებული პოეტი საავადმყოფო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. სამხედრო ექიმებმა



გულისხმიერება გამოიჩინეს და ავადმყოფი პოეტი უკან დააბრუნეს.

1940-1941 წლებში გამომცემლობას გამოსაცემად ლექსების პირველი კრებული “წინაპრები” ჩააბარა. წიგნი 1943 წელს დაიბეჭდა და პოეტს 10 საავტორო ეგზემპლარი გაუგზავნეს. ამ ათი ეგზემპლარის გარდა არც ერთი არ გაუვრცელდებიათ.

რადგანაც გაანადგურეს, დაჭრეს, როგორც არასაბჭოთა სულისკეთების წიგნი. პოეტი 26 წლისა 1943 წლის ივლისში გარდაიცვალა. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

1968 წელს პოეტის ნეშტი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.

მირზა გელოვანი

პოეტი მირზა გელოვანი თიანეთის რაიონის სოფელ ნაქალაქარში 1917 წელს დაიბადა. 1936-1939 წლებში ცხოვრობდა თბილისში და თავისუფალ მსმენელად დადიოდა უნივერსიტეტში. მუშაობდა გამომცემლობაში, რედაქციაში. მისი ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. 1939 წელს არმიაში გაიწვიეს.

მირზა გელოვანმა თავისთავადი პოეტური სამყარო შექმნა. მისი ლექსები გამოირჩევა ნათელი სახეებით, ემოციურობით... პოეტმა სულ სამი წელი იტრიალა დედაქალაქის ლიტერატურულ წრეებში, შემდეგ კი, ომში წასული, დროდადრო სამშობლოში ავზავნიდა ლექსებსა და წერილებს, რომლებშიც თბილისის მონატრება ჩანდა. გარდაიცვალა ომის მიწურულს, 27 წლის ასაკში, 1944 წლის



ივლისში, როდესაც უკანაგაქცეულ მტერს დადევნებული დასავლეთ ღვინის სამდინარო დაბრკოლებაზე გადადიოდა. დაკრძალულია ბელარუსში, ვიტებსკის ოლქის ბერენკოვიჩის რაიონის სოფელ სანიკის სამო სასაფლაოზე.

მომზადდა ლალი ფაციაშვილი

როგორ იქნა ბერის მიერ შექმნილი სერიოზული ღვინო ლულოვიკო XV საუკუნე სსსრ-ში - ყველაფერი შეაანუხრა



ბენედიქტის მონასტრის ოტვილიერის სააბატოს ისტორიის მანძილზე, რომელიც საფრანგეთის პროვინცია შამპანში მდებარეობს, მხოლოდ ერთხელ არ აღსრულდა ცისკრის ღოცვა. ეს მოხდა ადრეული შემოდგომის დღეს, 1668 წელს, როცა მონასტრის მევენახე პიერ პერინონმა აბატს გასასინჯად მის მიერ მომზადებული სასმელი მიართვა. მღვდელმა ერთი ბოკალი სასმელი დალია, მეორეც, მესამეც... იმ დღეს იგი თავისი სულიერი ძმების წინაშე არ წარმდგარა. ქაფიანმა ღვინომ პოპულარობა სწრაფად მოიხვეჭა. იმის გამო, რომ მისი საიდუმლოს ამოცნობას დიდი ხნის მანძილზე ვერავინ ახერხებდა, თავიდან შამპანური პროვინციის ცნობილ ღვინოებთან შედარებით, ძვირი ღირდა. დროთა განმავლობაში პიერ პერინონის საიდუმლო ამოიხსნა, ხოლო შამპანის დედაქალაქი რეიმსი ახალი, ყველაზე განსხვავებული ღვინის-შამპანურის წარმოების ცენტრად იქცა. ყველაზე დიდი წარმატება წილად მადამ კლიკოს (ქალიშვილობაში ნიკოლ ბარბი) ხვდა. ოცი წლის ასაკში ნიკოლი

წარმატებულ ვაჭარსა და შამპანურის მწარმოებელს-ფრანსუა კლიკოს გაჰყვა ცოლად. 1805 წელს ფრანსუა დაავადდა და მალე ციებ-ცხელებით გარდაიცვალა. ქმრისგან მემკვიდრეობით ნიკოლმა საგვარეულო ციებ-სიმაგრე, ვენახი და ცარცის მთაზე 24 კილომეტრზე გადაჭიმული სარდაფები მიიღო. ახალგაზრდა ქალბატონმა გადაწყვიტა გარდაცვლილი მეუღლის საქმე გაეგრძელებინა, მან დააარსა კომპანია “კლიკოს ქერივი” და კრისტალურად სუფთა ღვინის საწარმოებად მანვე გამოიგონა რემუაჟის მეთოდი. ბოთლებს თავდაყირა დგამდნენ და ასე აბრუნებდნენ, რათა ნარჩენები თავსახურთან დაეროვილიყო. შემდეგ სასმელს ყინავდნენ და თავსახურს ხდიდნენ, მასთან ერთად სითხე ნარჩენებისგანაც თავისუფლდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენდნენ მის ხელმეორედ შეფუთვას. კლიკოს ქერივის მიერ ამ მეთოდის მოფიქრებამდე, ღვინოს ერთი ბოთლიდან მეორეში გადასხმით ასუფთავებდნენ, რომლის დროსაც შუშუნა თავის საუცხოო ძალას კარგავდა. ამასთან, 1850 წლამდე ყველა შამპანური-ღვინო საკმაოდ ტკბილი იყო, რადგან მასში ლიქიორს ამატებდნენ. 1860 წლიდან ზოგიერთმა ფირმამ ამ სასმელის მშრალი შამპანურის მარკით წარმოება დაიწყო. ჩვენს დროში შამპანურის კარგ რეპუტაციას დიდებული მარკების სინდიკატი იცავს, რომელშიც ისტორიულად 28 საუკეთესო სახლი-შამპანურის მსოფლიო მწარმოებელი შედის. შამპანურის მწარმოებლები რამდენიმე წლის დავას გვირგვინ-მხოლოდ კრისტალურ, მაღალი კლასიფიკაციის ღვინოს, წარმოებულს შამპანში შეიძლება ეწოდოს შამპანური, სხვა დანარჩენს კი - უბრალოდ, კრისტალური ღვინო ან შუშ-

უნა. ქაფიან ღვინოს ბნელ ადგილას, +5 +15 გრადუს ტემპერატურაზე ინახავენ.

ზაფხული ცქრიალა ღვინისთვის საუკეთესო პერიოდია და ამ ტიპის სასმელი მთელს მსოფლიოში სწორედ ზაფხულშია პოპულარული.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ცქრიალა ღვინის (შამპანურის) გამოგონება ბენედიქტელი ბერის დომ პიერ პერინონის სახელს უკავშირდება. დომ პერინონი დახვეწილი გემოვნებისა და ფენომენალური მეხსიერების პატრონი გახლდათ. ერთი ყურძნის მტკენის მეშვეობით მას არა მარტო ჯიშის განსაზღვრა, არამედ მისი აღმოცენების ადგილისა და ნიადაგის განსაზღვრა შეეძლო.

ის იმდენად ბრწყინვალე დეგუსტატორი გახლდათ, ყურძნის გემოს მიხედვით, მას მომავალი ღვინის გემოს გამოცნობაც შეეძლო და ამას სიცოცხლის ბოლოს დაბრმავებულიც კი ახერხებდა! დომ პერინონის მთავარი დამსახურება ცქრიალა ღვინოების ტექნოლოგიის შემუშავებაა. წითელი ყურძნიდან იგი ამზადებდა თეთრ ღვინოებს, “რომელიც იმდენად გამჭვირვალე და ნათელი შეფერილობის გახლდათ, მანამდე რომ არ ენახათ”. ეს აღმოჩენა უკავშირდება ყურძნის შერჩევას შამპანის რეგიონის და ლიქიორის გამოგონებას ღვინოში ჩასამატებლად, რის გარეშეც შამპანისაცია შეუძლებელი იქნებოდა. ახალმა, იმ დროისათვის უჩვეულო ღვინომ ჭურჭლის ახალი ფორმების შემუშავება მოითხოვა - ეს ბოთლები დღეს ჩვენთვის ცნობილია როგორც “შამპანურის ფორმის”. ბოთლი დასახუფად კი მან პირველად გამოიყენა კორპის საცობი, რაც მანამდე არ გამოიყენებოდა.

პერინონმა შენიშნა, რომ ღვინო დუღდა, აღმოაჩინა შამპანურის მიღების ყველა

პირობა. დაადგინა, რომ ადგილობრივი ღვინოები ზამთარში არასრულყოფილად დუღს და ეს პროცესი გაზაფხულზეც გრძელდება. მან ინტუციით განსაზღვრა ბუშტულების წარმოშობის მექანიზმი და ის, რომ ქაფი (რომელიც ნახშირორჟანგის გაზს შეიცავს) უფრო ნათელი და მკვეთრია, რაც უფრო ნელა მიმდინარეობს დუღილის პროცესის. სასმელის შესანარჩუნებლად კი ჭურჭლის გამოგონება მოუხდა, რადგანაც იმ დროში ღვინოს მხოლოდ კასრებში ინახავდნენ და ხშირად ისინი ფეთქდებოდნენ. პერინონის ბოთლები კი 4 ატმოსფერო წნევას უძლებდა.

ღვინის სრულყოფილების მომხრე გახლდათ პენრის საგოიელი, რეიმსის არქივისკოპოსი. ის მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში “ქაფიანი ღვინო” დაინტერესდა, რომელსაც შამპანის პროვინციაში ამზადებდნენ. ეს ტერიტორია კი მისი მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. არქივისკოპოსმა მოიწვია საუკეთესო მეღვინე-ბერები შამპანის მეღვინეთა მოცილილების შესასწავლად და ჩასაწერად. ისინი კონსულტაციებს უწევდნენ მევენახე გლეხებს, ღვინის სრულყოფისთვის კი ცდებს ატარებდნენ. მათ მუშაობას არქივისკოპოსი პირადად ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა. შესრულებული სამუშაოს შედეგი იყო 1718 წელს გამოქვეყნებული წიგნი აბატ გოდინოს ავტორობით, რომელიც რეიმსის ტაძარში მსახურობდა. ამ ნაშრომში პირველად იქნა აღწერილი ცქრიალა ღვინოების წარმოება. ცქრიალა ღვინო - ეს არის ღვინო, რომელიც მეორადი დუღილის შედეგად ბუშტუნივად “დაიბუშტა” თავისივე გამოყოფილი გაზით!

რ. შალაგაძე

საორბული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანია

თუ ვბრძობდი, რომ მხაბრავდნენ, დასახმარებლად სულაქველიძესთან და ჩელესთან ბავრბოდი...



“გაჭირვების და იმის მიუხედავად, რომ დასახულ სიმადლეებს ვერ შევწვდი, საქართველოდან წასვლა არც მიფიქრია”

გრივოდ ცაავა ის მოთამაშეა, რომელმაც ერთხელ გამოჩენილ პოლანდიელ მცველს, რუდი კროლს შემდეგი სიტყვები ათქვევინა: “ეს ბიჭი დროზე ათამაშეთ ნაკრებში, თორემ გახდება ჩემხელა და არაფრის თავი აღარ ექნება”.

“დინამოს” მაისური პირველად ლესელიძეში, სეზონისწინა საკონტროლო შეხვედრებში მოვიტყე. ჩემთან ერთად უმცროსი მიშა მესხი, ვაჟა ჟვანია, ტარიელ დურდიძე, გონა ჯოხაძე, ნუკრი კაკილაშვილი, დიმიტრი მეშკოვი, გია გურული, კობა ჟორჟიკაშვილი და მერაბ ჟორდანიაც თამაშობდნენ, გუნდს კი გივი ნოდია და სერგო კუტივაძე ხელმძღვანელობდნენ. ყველა კარგი ბიჭი იყო, მაგრამ მიშა მესხისთანა ნიჭიერი – არცერთი!

ძირითად შემადგენლობაში პირველად თბილისში, დონეცკის „შახტიორთან“ 30 მოგებულ მატჩში გამოჩნდი. დუბლშემადგენლობა ერთი დღით ადრე თამაშობდა, ამიტომ, როცა განაცხადში ჩემი თავი ვერ ვიპოვე, ძალიან გამიკვირდა. უცბად ვერ მიხვდი რა ხდებოდა, მერე კი ცხონებულმა გივი ნოდიამ მითხრა, პირველ გუნდს კრება აქვს, იქ მოდიო.

1981 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიხმეს, მანამდე კი იუნიორთა გუნდი იყო. სამწუხაროდ, ვერცერთი გამოდგა წარმატებული – საკვალიფიკაციო ეტაპზე ემარცხდებოდით. ერთხელ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებს ველიეთ 4:1. იმ მატჩში პატარა მიშამაც თამაშა და დათო პაიკიძემაც – სამნი ვიყავით “დინამოდან”. ის შეხვედრა წლების მერე გაიხსენა რაღვ მინგემ. იმხანად ის ჩვენს ეროვნულ ნაკრებში კლავს ტოპმოთხეობის თანაშემწე იყო, მე კი ფედერაციაში ვმუშაობდი. თურმე მეტოქეები ვყოფილვართ...

სულ მინდოდა დათო ყოფიანივით მეთამაშა. ერთხელ, მორიგი თამაშის შემდეგ, “ფიფო” ავტოგრაფებს არიგებდა. კაი ხანს ვუცქერდი, მერე მივედი და ვუთხარი, დავიდო, მეც მინდა შენაირი მოთამაშე გახდეს. ავტოგრაფები დავარიგო-მეთქი. მომიტრიალდა და მითხრა, ძალიან კარგი ასე რომ ფიქრობ, ეცადე და გამოგივაო... გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე მოთამაშე იყო, დათო კარგი კაციც გახლდათ.

1981 წლის სექტემბერში მადრიდში, ბერნაბეუს ტურნირში ვითამაშეთ. ნახევარფინალში „რეალთან“ 2:4 წავაგეთ, მერე მიუნხენის „ბაიერნს“ 2:1 ვაჯობეთ და მესამე ადგილი დავიკავეთ. თასიც ვადმოგვცეს. გუნდში ყველაზე უმცროსი ვიყავი და ახალკაცმა ჯილდო მე ჩამაბარა, მიხედვით. ესპანეთიდან თბილისამდე თავს დაგაკანკალებდი – რამე არ მოუვიდეს, არ გატყდეს, არ გაფუჭდეს... ჩამოვედი თბილისში და იცით რამდენი “პატრონი” გამოჩნდა „ჩემს თასს“? ყველას საშა ჩივაძემ „აჯობა“, სტაცა ხელი, შემართა და ასე გაიტრა ტრაპზე...

1982 წლის სეზონში ძირითადის უცვლელი წევრი ვიყავი: პირველობის 32 შეხვედრაში 9 გოლი შევაგდე და სეზონის ბოლოს „33 საუკეთესოს“ სიაშიც დამასახელებეს. რამაზ შენგელიამ საკავშირო

პირველობებზე მე-100 გოლი სწორედ იმ ჩემპიონატში გაიტანა და ეს ჩემი პასით გააკეთა, ამით დღემდე ვტრაბახობ!

დასავეის კარში გატანილ გოლს რა დამავიწყებს?! ის შეხვედრა მანუქში ჩავატარეთ, იქ კი „სპარტაკი“ უძლეველი იყო. ის თამაშიც წავაგეთ... 0:2-ზე ჩივაძემ დამიგორა ბურთი, მეც ბევრი არ მიფიქრია და პირდაპირ დავარტყი. ბურთი ჯერ ხარისხს მოხვდა და მერე შევარდა კარში, მართლა ევექტური გოლი გამოვიდა!

ყველაზე ცუდი მოგონება? ოდესის „ჩერნომორეტთან“ გასვლით შეხვედრაში ერთიმინმა რომ ფეხი მომტყვა, აი ესაა ჩემი კოშმარი. მაშინ ასეთი წესი იყო: ფეხის მოტყვის შემთხვევაში, საქმე სასამართლოში უნდა გარჩეულიყო და დამნაშავეს დაზარალებულისთვის ოპერაციის და სხვა ხარჯები უნდა აენაზღაურებინა. ერთიმინის დედისგან წერილიც მივიღე, ჩემს ამბავს კითხულობდა... სასამართლოზე უარი ვთქვი, არაფერი მინდა, თავი გამანებეთ-მეთქი. ისე, ერთიმინი არ იყო ძვლისმკენეტი, ასე ვთქვათ „კასტალინი“. ასეთი უფრო მოსკოველები ნიკულინი და ნოვიკოვი იყვნენ – პირველივე წუთიდან ფეხში გირტყამდნენ. თუ ვგრძნობდი, რომ მხაგრავდნენ, დასახმარებლად სულაქველიძესთან და ჩელესთან გავრბოდი – ესენი იყვნენ ასეთების „წამალი“.

იმ ტრავმის შემდეგ 5 თვე ვერ ვითამაშე, როცა გუნდში დაებრუნდი, „დინამოს“ უკვე დათო ყოფიანი წერთინდა. ტრავმამოშუშებულმა პირველად კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ ვითამაშე – ფეხბურთს დანატრებული ვიყავი და ბევრს „ვმბატაობდი“. თუ არ ვცდები, ის შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა, ერთი გოლი კი თემურ ქეცბაიამ ჩემს მიერ ჩაწოდებული კუთხურიდან გაიტანა.

უხერხული მოწინააღმდეგე, ვისთანაც თამაში მიჭირდა, ნამდვილად არ მახსენდება, მაგრამ ერთი კია, რომ ხარკოვის „მეტალისტთან“ ასპარეზობა ძალიან არ

მიყვარდა. ეს იყო გუნდი, რომელსაც ფეხბურთის წესიერად თამაში არ შეეძლო და არც შენ გაძლევა ამის საშუალებას.

ხარკოველებთან 90 წუთი წავალბა იყო...

როცა გაირკვა, რომ დათო ფეხბურთიდან მიდიოდა, ყველა აღაპარაკდა, ყოფიანი ცაავამ უნდა შეცვალოსო. არ დავმალავ: გუნდში მაგრძნობინებდნენ, რომ მოედანზე მის ადგილას უნდა მეთამაშა. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა იყო და არაფერს ვიშურებდი, მაგრამ ვერ მოვახერხე. თუმცა, არ ვიცი რისი ბრალია ეს, ალბათ, პირველ რიგში ჩემმა სიზარმაცემ გამოიწვია ყველაფერი: არასაკმარისმა შინაგანმა რეჟიმმა, შეიძლება მორცხვობამაც, ვეგბ არეულ-დარეულმა დრომ, ტრავმასაც ნუ გამოვიტყვავთ... მოკლედ, მიუხეცბის ჯაჭვია.

ჩემთვის სშირად უთქვამთ, რომ მარცხენა ფეხით უკეთ ვთამაშობდი. მწვრთნელებსაც მიუთითებიათ, თანავუნდებლაც, რომ მარჯვენისთვის მეტი ძალა დამეტანებინა, მაგრამ რა ვქნა, ვერაფერი მოვახერხე. იმას კი არ ვამბობ, რომ ვზარმაცობდი, უბრალოდ, ბოლომდე ცაციად დავრჩი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში ვითამაშე. პირველი სეზონი „იბერიად“ წოდებულ „დინამოში“, მერე კი სოხუმის „ცხუმშიც“. აფხაზეთის ომის პერიოდში გია ყარყარაშვილმა „თეთრი არწივი“ ჩამოაყალიბა და იქაც ვიყავი, ჩვენ პირველ ლიგაში გამოვიდიოდი.

ვისთვის ვთამაშობდი? არ იფიქროთ, რომ ვპოზირობ, მაგრამ ქართველი ხალხისთვის, სამშობლოსთვის – ეს პირველ რიგში... ბუნებრივია, საკუთარი სიამოვნებისთვისაც, ჩემი სოხუმელებისთვის, ახლობლებისთვის, ყველასთვის, ვინც მიყვარდა და ვისაც პატივს ვცემდი.

სპეციალური განცხადება

როგორც ცნობილი გახდა, “ილორს” შეექმნა ფინანსური პრობლემები, რამაც გამოიწვია მისი გამოცემის პერიოდულობის გაზრდა. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, გაზეთი არ ტოვებს ყურადღების გარეშე არცერთ საჭირობორტო საკითხს, ის მუდამ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება! მან დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების პატივისცემა და დიდი სიყვარული! ამიტომ მოგმართავთ თხოვნით და შემომაქვს წინადადება, რათა, ჩვენ მკითხველი საზოგადოება დაგუდგეთ გაზეთს გვერდში და ვისაც რის საშუალება გვექნება, გაგუწიოთ ფინანსური დახმარება! ამისათვის გთავაზობთ საბანკო ანგარიშს, რომელზეც შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი მსურველის მიერ, ნებისმიერი თანხის ჩარიცხვა! ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“. ასე, რომ ჯერი ჩვენზეა!

საბანკო ანგარიში: ს.ს „ლიბერთი ბანკი“ ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000 ანგარიშის ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში მფო: 220101480 მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ი. ჭავჭავაძის გამზირი 74 თბილისი, 0162, საქართველო მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22 ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ჩანაფიქრს უწერია განხორციელება და მგონი კეთილი ხალხის ნაკლებობას საქართველო არ განიცდის, მინდა წინასწარ განვაცხადო: ჩვენი საქველმოქმედო აქციის დაწყებიდან, ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ, გაზეთის ფურცლებზე, თანხის შემომწირველთა თანხმობის შემთხვევაში, ჩემს მიერ იქნება წარმოდგენილი სრული ინფორმაცია თანხის შემომწირველებისა და შემოწირული თანხის ოდენობის შესახებ!



ჰელიმ ბახარია – 80 ჩვენს მეგობარს და ნათესავს, შესანიშნავ მეუღლეს, მამასა და ბაბუას, ნაღდ კოლხკაცს, ლუგელასა და ხობისწყლის ხეობის განუმეორებელ კოლორიტს, ბატონ ჰელიმ გახარიას ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ შესაშურ ჯანმრთელობას, ყოველნაირ სიკეთეს, ოჯახურ ბედნიერებასა და დიდი ხნის წარმატებულ სიცოცხლეს. დრმა პატივისცემითა და დიდი სიყვარულით, ბახარიების ბვარის „საპოროდინაციო საბჭო,,

ISSN 1987-8966 "ილორი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95
მითავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია
ბაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
WWW.SAQINFORM.GE